


საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის 89-100 წელი



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინც ბეჭე-
უჭი სიფყვას, ცყუილებით და ჭბებით ბუტ-
თის გატანა ყველა უჯდბისბბაჭე უსბბბგლუსია.

შაბათი, 9 ივნისი. 2018 წ. №120-121 (8521-8522), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.



ქმა ჩემი, მტარი ჩემი

მოხარების მკვლელობის საქმეზე მერაბ მორჩიძე დააკავეს

სორაბშს ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე 1973 წელს დაბადებული მერაბ მორჩიძე დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაცია შსს-მ გაავრცელა.
– სორაბშს ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მოწმეზე ზემოქმედების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით დაკავებულია 1973 წელს დაბადებული მერაბ მორჩიძე. მერაბ მორჩიძის დაკავება განხორციელდა მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი იმ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, რომელზეც გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს.



როდესაც პარტია რეიტინგს
ქარბავს, ლეგიტიმაციისთვის
სდილობს, დანიშნოს პრეზენტი,
„ოსნებასას“ უეუქლია,
ასეთი ნაბიჯი გადადგას!

პოლიტიკური ნაპროვიენსიულიზმი

მასტანბ ძაბირაძე:



ბზები, რომელსაც
ხელისუფლებამ
რაბდენიმე მილიარდი
დახარჯა, მსოფლიო
ორბანიზაციამ დაინუნა



დღეს მოსახლეობა
36-37 თეთრით უფრო
ძვირად ყიდულობს
1 ლიტრ სანჯას,
ვიღრა სხელენიფო

სომხეთის კათალიკოსი გადადგომას არ აპირებს

სომხეთის კათალიკოსი გარეგინ მეორე, მიუხედავად ერევანში საპროტესტო აქციებისა, გადადგომას არ აპირებს, ამის შესახებ ეპისკოპოსმა არშაკ ხაჩატურიანმა. სომხეთის კათალიკოსის ახალ რეზიდენციასთან ერევანში საპროტესტო აქცია გაიმართა, დემონსტრანტები კათალიკოს გარეგინ მეორეს გადადგომას ითხოვდნენ, აქციის მონაწილეებთან სასულიერო პირები გავიდნენ და მათი მოთხოვნები მოისმინეს. ეპისკოპოსს არშაკ ხაჩატურიანის თქმით, მათთვის გაუგებარია დემონსტრანტთა ულტიმატუმი და მათი უკმაყოფილების მიზეზები არ არის იმის საფუძველი, რომ კათალიკოსმა თანამდებობა დატოვოს.



ბათუმის „ტექნოლოგიური უნივერსიტეტის“ შენობა სსსრკრბებელ ბინებზე იყიდა

„ჯვარისმამის“
ლაკაშიდან –
დღეგდა...



პურის წარმოების ასწლიანი გადასახედიდან

პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფები პრაქტიკულად მოთხოვნებს აყენებენ!

ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელსაც შეცდომების აქტს და უშეცდომოდ არავინ არის, მაგრამ ამ შეცდომებზე ხდება ადევნებული რეაგირება, საპასუხო პოლიტიკური ქმედებების დაგეგმვა, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე. კვირიკაშვილმა თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ განვითარებული მოვლენებსა და სახელმწიფოს რეაგირებაზე ისაუბრა. მისი თქმით, შექმნილი ვითარება პოლიტიკურად ანგაჟირებულმა ჯგუფებმა გამოიყენეს და არამართლზომიერი მოთხოვნები დააყენეს.

„არ მინდა ბევრი საუბარი იმაზე, პოლიტიკურად ანგაჟირებულმა ჯგუფებმა, სამწუხაროდ, როგორ გამოიყენეს ეს სიტუაცია და აბსოლუტურად არამართლზომიერი, ვითარებისადმი არაადეკვატურ მოთხოვნებს აყენებდნენ და აყენებენ. საზოგადოება ყველაფერს კარგად ხედავს. ამ საზოგადოებას უცხოვრია იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო აბსოლუტურად არ უსმენდა ხალხის ხმას, სადაც თვეების განმავლობაში ქუჩაში დგომის მიუხედავად, რეაგირება წულის ტოლი იყო.“

დღეს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებას ადარდებს ხალხის აზრი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელსაც შეცდომების აქტს და უშეცდომოდ არავინ არის, მაგრამ ამ შეცდომებზე ხდება ადეკვატური რეაგირება, საპასუხო პოლიტიკური ქმედებების დაგეგმვა“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის სტანდარტი გამოიჩინა მთავრობამ პროკურორმა ირაკლი შოთაძემ და თანამდებობიდან მყისიერად გადადგა, ასევე ჩვენ მივესალმებით საზოგადოებრივი პლატფორმის შექმნას, რომელმაც ორგანიზებულად უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და მე ვფიქრობ, კანონის ამის საშუალებას ასევე იძლევა, — განაცხადა პრემიერმა. ამასთან, პრემიერის თქმით, როგორც დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლები, მათი ადვოკატები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები შესაძლოა, დაესწრონ საგამოძიებო კომისიის სხდომებს.

„მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, უპრეცედენტოა, რომ საგამოძიებო კომისიაში საპარლამენტო უმცირესობა არის უმრავლესობა და თავმჯდომარე არის უმცირესობის წარმომადგენელი“, — განაცხადა პრემიერმა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, უმნიშვნელოვანესი თვისებები სობრისი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ქვეყანაში.

„ასე რომ, ეს უმნიშვნელოვანესი თვისებრივი პოლიტიკური ცვლილება, რომელიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში, მინდა, ჩვენი მოქალაქეები კარგად დააკვირდნენ განსხვავებას, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოებრივი აზრზე დღევანდელი სახელმწიფო, ეს ცვლილება მოიტანა, რა თქმა უნდა, 2012 წელს განხორციელებულმა ძალიან მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ. მე, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის გამარჯვება“.

ბუღალტრი

სამჯერ ბაიზრდება!..

დღევანდელი გუდაური გაიზარდა სამჯერ, მაგრამ ეს იქნება კანონზომიერად დაგეგმილი და განვითარებული კურორტი, სადაც იქნება ყველა საჭირო სივრცე, არა მხოლოდ მოსრიალეთათვის; ის ასევე უზარუნებს მსოფლიოში არსებულ დღევანდელ ტრენდს, რაც გამოხატება იმაში, რომ სათხილამურო კურორტებზე არამოთხილამურეთა სტუმრობა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომელზეც გუდაურის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია დამტკიცდა.

ბიორგი ჩიქოვანმა ბუჰარესტის ფორუმზე საქართველოს ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმა წარაგინა

7 ივნისს რუმინეთში ქალაქ ბუჰარესტში ენერჯეტიკული ქარტიის ფორუმში გაიმართა, რომლის მუშაობაშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩიქოვანმა მიიღო მონაწილეობა.

სესიაზე, რომელიც ენერჯეტიკულ მთავრობას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, აგრეთვე მათი დაძლევის გზებსა და მეთოდებს შეეხებოდა, გიორგი ჩი-



ქოვანმა მოხსენება გააკეთა. მასთან ერთად, აღნიშნულ სესიაში მონაწილეობდნენ რუმინეთის ენერჯეტიკის მინისტრი ანტონ ანტონი, მალტის ენერჯეტიკის მინისტრი ჯოზეფ მიზი, ასევე ალბანეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და სხვა ქვეყნების მინისტრები. გიორგი ჩიქოვანმა გამოხატა მხარდა ენერჯეტიკის სექტორის სტრატეგიულ მიმართულებებსა და რეფორმებზე გააძვირდა ყურადღება, მან ასევე აქცენტი გააკეთა ენერჯეტიკული სექტორის წარმატებით დაგეგმვაზე. კანონმდებლობის შემუშავებაზე, აგრეთვე ენერჯეტიკული სექტორის უზრუნველყოფის რეფორმებს, რომელიც ხელს შეუწყობს ენერჯეტიკულ უსაფრთხოებას.

ენერჯეტიკული სექტორის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 4 ძირითად მიმართულებას, ესაა ინდუსტრია, ტრანსპორტი, ენერჯეტიკა და შენობები. ენერჯეტიკული სექტორის სამოქმედო გეგმისა და ენერჯეტიკული სექტორის შესახებ განხილვის მიღება მოხდება 2018 წლის ბოლომდე.

საპარტიო სილაჩი დასაქვნი გვაქვს!

პიდეპ ერთხელ ვამბობ, რომ საქართველოში სილაჩი დასაქვნი გვაქვს! როგორც კვირიკაშვილი განმარტავს, 2014 წელს ქვეყანამ გამოიარა უმძიმესი კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო უკრაინაში საომარი მოქმედებებითა და ოკუპაციით. ასევე, სირიაში ძალიან მძიმე კრიზისი, რომელიც, რა თქმა უნდა, რეგიონზე აისახა, აისახა ჩვენი ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებზე, აისახა დეველპაციაში.

„ჩვენი მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდა, მან მნიშვნელოვნად გააძვირა ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამავედროულად ძალიან გაიზარდა დეველპაციის შედეგად დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსი, რამაც სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინა ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რომ არა ის ფისკალური, ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც ესტონური მოდელის სახით არის ჩვენთან ცნობილი და რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან ჩაერთო, თუმცა მანამდე მთელი წელი ვამზადდებდით, ვსწავლობდით, მათ შორის სავალუტო ფონდის მნიშვნელოვანი ექსპერტების დახმარებით, ესტონეთის შეცდომებს, ჩავარდნებს, რომელიც იქ განხორციელებულ რეფორმას მოჰყვა და პრინციპში, ყველა შესაძლო, ასე ვთქვათ, სერეული დაილუქა საკანონმდებლო, სწორი ცვლილებების შედეგად.“

ძალიან ბევრი ვიმუშავეთ პარლამენტთან ერთად, მთელი პარლამენტი იყო ჩართული, განსაკუთრებით, ბუნებრივია, ეკონომიკური პროფილის — საფინანსო საბი-

უჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტები. შედეგად მივიღეთ ის, რომ ჩვენ არა მხოლოდ დაეძლიეთ კრიზისი, არამედ მნიშვნელოვან პოზიტიურ ტენდენციები მოვახდინეთ ამ კრიზისის ტრანსფორმაცია. საქართველოში სილაჩის დაძლევა კიდევ არა ერთი წელი დასჭირდება და ეს სიმაართლეა, თუმცა ის ტენდენცია, რომელიც ჩვენ გვაქვს აღებული, არის რეცესიული და გზა, სილაჩის დაძლევისა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოსახლეობას ჰქონდეს ძალიან სწორი, საფუძვლიანი იმედი იმისა, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და ამ გზით ნამდვილად შესაძლებელია, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ დააღწიოს თავი სილაჩისგან“, — აცხადებს გიორგი კვირიკაშვილი.

მალაქთიანი აჭარის ბაზიზისიკება იწყება

აჭარაში ბაზიზისიკების სამუშაოების მეორე ეტაპი იწყება, — პროექტს, რომელიც მალაქთიანი აჭარაში 9 000 აბონენტის გაზომარაგებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია განახორციელებს.

აჭარაში ბაზიზისიკების პროექტი უკვე ხორციელდება ხელვაჩაურის, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, რომელიც პირველ ეტაპზე 11 000 აბონენტის ბუნებრივი აირით მომარაგებას უზრუნველყოფს. სამუშაოები ვადაზე ადრე, 2018 წლის შემოდგომისთვის დასრულდება. რაც შეეხება პროექტის მეორე ეტაპს, აჭარის მალაქთიანეთში, ტექნიკური ხასიათის სირთულეებისა და მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გადწყვიტა, რომ სამხრეთ საქართველოში არსებულ გაზსადენის ქსელზე დაერთებით, კურორტ გოდერძის მიმართულებით აშენდება გაზსადენი, რომელიც მალაქთიანი აჭარას მოამარაგებს. პრემიერ-მინისტრის შეფასებით, აჭარის მალაქთიანი რეგიონის ბაზიზისიკირებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება იქ ძალიან რთულ პირობებში მცხოვრებ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ასევე ხელი შეუწყობს ტურიზმს და მცირე ოჯახური ტიპის სასტუმროებს.

„გარდა ამისა, დაიზრდება ჩვენი სე-ტის ოქროს ფონდი, რომელიც არ უნდა იჩნებოდეს იმისათვის, რომ ადამიანები ზამთარში თბილად იყვნენ. ამიტომ, ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი. 2013-2017 წლებში საქართველოში მოხდა 262 ათასი ოჯახის გაზიფიკირება მის დასახლებულ პუნქტში. მათ შორის არის ოკუპირებული ტერიტორიებთან მცხოვრები 13 459 ოჯახი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

საპარტიო სილაჩი და პონგ კონგს შორის მიმდინარე თვის ბოლოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოენერგება ხელი — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს ევროკავშირთან, ჩინეთთან — რომელიც რომელიც უახლოეს წარსულში ამოქმედდა, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), თურქეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან, უახლოეს ხანში, პონგ კონგიც შეემატება, რასთან დაკავშირებითაც ხელშეკრულება „Belt and Road“-ის სამიტის ფარგლებში გაფორმდება.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი პროდუქციის ექსპორტისთვის და, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს საქართველოს დია ეკონომიკას, ღია — ვაჭრობისთვის, ინვესტიციებისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს დამატებით ბიძგს მისცემს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

საპარტიო სილაჩი დასაქვნი გვაქვს!

საპარტიო სილაჩი დასაქვნი გვაქვს! როგორც კვირიკაშვილი განმარტავს, 2014 წელს ქვეყანამ გამოიარა უმძიმესი კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო უკრაინაში საომარი მოქმედებებითა და ოკუპაციით. ასევე, სირიაში ძალიან მძიმე კრიზისი, რომელიც, რა თქმა უნდა, რეგიონზე აისახა, აისახა ჩვენი ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებზე, აისახა დეველპაციაში.

„ჩვენი მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდა, მან მნიშვნელოვნად გააძვირა ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამავედროულად ძალიან გაიზარდა დეველპაციის შედეგად დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსი, რამაც სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინა ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რომ არა ის ფისკალური, ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც ესტონური მოდელის სახით არის ჩვენთან ცნობილი და რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან ჩაერთო, თუმცა მანამდე მთელი წელი ვამზადდებდით, ვსწავლობდით, მათ შორის სავალუტო ფონდის მნიშვნელოვანი ექსპერტების დახმარებით, ესტონეთის შეცდომებს, ჩავარდნებს, რომელიც იქ განხორციელებულ რეფორმას მოჰყვა და პრინციპში, ყველა შესაძლო, ასე ვთქვათ, სერეული დაილუქა საკანონმდებლო, სწორი ცვლილებების შედეგად.“

მხარდაჭერაზე საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით მიმდინარე რეფორმებთან მიმართებით. საუბარი შეეხო, ასევე, საქართველოსა და ამერიკის შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, იმ პოზიტიურ შედეგებს რასაც მოიტანს ხელშეკრულების ამოქმედება ორივე ქვეყნისათვის.

კონგრესმენმა ზაზი გაუსუს აშშ-ის მხარდაჭერას საქართველოს მიმართებით, მათ შორის, დემოკრატიული რეფორმების კუთხით. მან, როგორც კონგრესის ადამიანის უფლებათა კომისიის წევრმა განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება ადამიანის უფლებების მიმართულებით მიმდინარე რეფორმებზე. მან საქართველოსა და ამერიკის შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესში ქართველ კოლეგებს მხარდაჭერა აღუთქვა.

ვიზიტის ხორციელება აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დავით ბაქრაძის მხარდაჭერით.

ავტომაგისტრალის მშენებლობა ყველანაირ პადას გასცდა!

საბჭაო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით ქვეყანაში კვლავ დიდი პრობლემებია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული ინფრასტრუქტურის მინისტრი და საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე არაერთგზის შეიცვალა, ძირითადი ხარვეზების გამოსწორება ვერაფრით ხერხდება.

მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის მიხედვით, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა 2020 წელს უნდა დასრულდეს, თუმცა ამავე დროს მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, ავტომაგისტრალის რიგი მონაკვეთების მშენებლობის დასრულების ვადები 2021-22 წლებია.

ამჟამად, ჩქაროსნულ მაგისტრალზე 200 კილომეტრი გზა არის დასაგები. მშენებლობის 2020 წელს დასასრულებლად, წელიწადში, საშუალოდ, 66.6 კილომეტრი გზა იქნებოდა გასაყვანი. მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, წელიწადში, საშუალოდ, 18 კილომეტრი გზა შენდებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავტომაგისტრალზე მშენებლობის ყველაზე რთული მონაკვეთებია დარჩენილი.

კერძოდ, რუსთავის შემოვლითი გზა, ფაქტობრივად, დაუმთავრებელია;

ქუთაისის შემოვლითი გზა საერთოდ ნონსენსია, რადგან არასწორი დაპროექტების გამო იქცა ფატალური ავტოკატასტროფების მიზეზად და აუცილებელი გახდა მისი გაცალმხრივება, რამაც მისი ეფექტიანობა, პრაქტიკულად, გააუარესა.


ქობულეთის შემოვლითი გზაზე უკვე შეიმჩნევა დონეების აცდენა გზის ბეტონის საფარსა და სიდედს შორის და მიდის ამ სიცოცხლისთვის სახიფათო ხარვეზის, ასფალტის ფენების ჩაკერების მეტოდით „გამოსწორება“. დაწეულია და წყლით ივსება დამაკავშირებელი გზების გვირაბები, წყალგამტარი სიდედები;

რაც შეეხება სამტრედია-გრიგოლეთის, დღემდე ყველაზე ძვირადღირებულ (254 მლნ ლარი) მონაკვეთს, მას აშენებს ჩინური კომპანია „სინოპიდრო“, რომლის საერთაშორისო რეპუტაცია უკიდურესად შელახულია, რომელიც მსოფლიო ბანკის შავი სიის ბინადარი იყო. მის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტი „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ შეაფასა, როგორც „კორუფციის მონუმენტი“. კომპანიის მიერ აგებულ მაგისტრალს არ იბარებს სომხეთის მთავრობა უკიდურესი უხარისხობის გამო. კომპანიას საქართველოს ბიუჯეტის მიმართ აქვს 20 მილიონ ლარზე მეტი დავალიანება, რის გამოც მისი ქართული ფილიალი, ფაქტობრივად, გაჩერებულია და დაყოფილია მისი ქონება და ანგარიშები.

ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის ინფორმაციით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ის, რომ სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე ჩინური კომპანიების „სინოპიდროსა“ და „რკინიგზა 23“-ის მიერ დაგებული გზა უკვე ჭაობში იძირება.

„ახალი პროექტით მშენებლობის დროს არ იქნა გათვალისწინებული არც გეოლოგიური, არც ტექნიკური ექსპერტიზების დასკვნები და აქცენტი გაკეთდა იაფფასიან მასალებზე, რომელიც შეუსაბამოა ადგილობრივი გრუნტისთვის და გზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მასზე გადაადგილება არ იქნება უსაფრთხო! ყოველივე ზემოაღნიშნული, გარდა იმისა, რომ ინვესტორს სახელმწიფო კრედიტებისა და ბიუჯეტის უფაირათო ხარჯვას და უკიდურესად ზრდის კორუფციის რისკს, ქვეყნის იმიჯზე და კონკურენტულ გარემოზეც უარყოფითად მოქმედებს, რადგან დარღვეულია შეჯირბობის ელემენტარული პრინციპი — საექსპლუატაციის კომპანიები იმარჯვებენ ტენდერებში აბსოლუტურად სხვა პირობებით და ასრულებენ აბსოლუტურად სხვა პროექტებს“, — აცხადებენ ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა გაერთიანებაში.

ბაპა დანელია



გზები, როგორც ხელისუფლება რამდენიმე მილიარდი დახარჯა, მსოფლიო ორბანიზაციამ დაინუნა

საქართველოს გზები უკვე მერამდენე ხელისუფლებისთვის მერამდენედ იქცა ქვაკუთხედად. რამდენიმე დღის წინათ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ გზების ხარისხის რეიტინგში (Global Competitiveness Index 2017-2018) — საქართველო ისეთი დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა, როგორცაა ბოტსვანა და ჰონდურასი. 7-ქულიანი სისტემით საქართველოს გზებმა 3,8 ქულა დაიმსახურა და 80-82 ადგილი დაიკავა.

არადა, ეს მაშინ, როდესაც დასახლებული ქვეყნების განსხვავებით, საქართველოს გზების მშენებლობასა თუ რემონტზე წელიწადში მილიარდ ლარზე მეტი იხარჯება. ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებად დასახელებული მაგისტრალისა და შიდა გზების მოწყობისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იყო გამოყოფილი, მილიონობით აშშ დოლარის სესხი კი ქვეყანამ საერთაშორისო ბანკებიდან აიღო. ეს ტენდენცია დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც გრძელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წლიდან 2018 წლის I კვარტალის ჩათვლით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობაზე სულ 1 მილიარდ 616 მილიონი ლარი დაიხარჯა. ხოლო მისი რეაბილიტაციის ფარგლებში 811.319 მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდა. დასახელებული რიცხვებიდან რამდენია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა და რამდენია ქვეყნის ვალი, ინფრასტრუქტურის სამინისტროში არ დაუკონკრეტებიათ. ჩვენთვის ოფიციალურად ცნობილია ის, რომ ქვეყნის საგარეო ვალი 9 მილიარდ 901,001 ლარს შეადგენს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი წლების განმავლობაში სწორედ საგზაო ინფრასტრუქტურაზე იხარჯება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ „გზების ხარისხის რეიტინგში“ საქართველოს 82-ე ადგილზე მოხვედრის საკითხი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერჯერობით არ შეუფასებიათ. „კომერსანტი“ გზებზე არსებული პრობლემებით მომავალშიც დაინტერესდება და შესაბამისად ყველა მხარის პოზიციას დააფიქსირებს.

კომერსანტი



საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლიდან დღემდე, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 190 კილომეტრზე გზის საფარის მოწყობა დასრულებულია, მოძრაობა კი 167 კილომეტრ გზაზეა გახსნილი. აქედან, 2006-2012 წლებში, მოძრაობა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 68 კილომეტრზე, 2013 წლიდან დღემდე კი 99 კმ გზაზე გაიხსნა.

არც ერთი მსხვილი საბჭაო-ინფრასტრუქტურული პროექტი, როგორცაა რუსთაველის შემოვლითი გზა, ქუთაისის შემოვლითი გზა, ძუძულებითი შემოვლითი გზა, სამტრედია-ბრიგოლაძის მონაკვეთი, არ სორციალდება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში და იკავთაბა მთელი რიგი დარღვევები ხარისხთან და გარემოში ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

„დღეს მოსახლეობა 36-37 თეთრით უფრო ძვირად ყიდულობს 1 ლიტრ სანჯაპს, ვიდრე სახელმწიფო“

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სანჯავი საცალო ქსელში რამდენჯერმე გაძვირდა და საერთო ჯამში 1 ლიტრის ფასი 2-9 თეთრით გაიზარდა. ნავთობიმპორტორები ბოლო გაძვირების მიზეზად ლარის კურსსა და სანჯავზე საერთაშორისო ფასების ზრდას ასახელებენ. შექმნილი ვითარების პარალელურად, სპეციალისტები აცხადებენ, რომ სანჯავის გაძვირება ჯაჭვური რეაქციით დანარჩენ აუცილებელ პროდუქტსაც გააძვირებს. შესაბამისად, ქვეყანა მორიგი ინფლაციური გამონევივის წინაშე დგამდა. ექსპერტების განცხადებით, ეროვნული ბანკის რეზერვები უძირო არ არის, რათა მან ნეგატიური ინფლაციური პროცესების მუდმივი კომპენსირება შეძლოს.

„ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი პაატა ბაირახტარი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ის, რაც საქართველოს ნავთობის ბაზარზე ხდება, ალოგიკურია.

„მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ კომპანიამ მოგება არ მიიღოს. თავს რომ იმართლებენ იმით, რომ მიზერულ მოგებაზე მუშაობენ, ეს რას ნიშნავს? მოსახლეობას ფასებით ახრჩობენ და სახელმწიფოს იგივე ტიპის სანჯავს 36-37 თეთრით უფრო იაფად აწვდიან. ამ ქმედებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონკურენტის სააგენტოს უსუსურმა ქმედებამ, რომელიც ბოლო პერიოდში მათ მიერ დაწერილ დასკვნაში გამოიხატა და რომლის მიხედვითაც, ნავთობკომპანიებს პირველად დაკისრებული ჯარიმები 18-ჯერ შეუმცირა,“ — აცხადებს ბაირახტარი.

ბაირახტარის ინფორმაციით, ის, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასები იზრდება, არის ტყუილი და ცდილობენ, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ.

მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა დაკავშირებული იყო გარკვეულ პოლიტიკურ განცხადებებთან, თუმცა უკვე 2

კვირაა ბაზარზე მიმდინარეობს ფასების მკვეთრი ვარდნა. შედეგად, სანჯავზე ფასების ზრდის საფუძველი საქართველოში არ ყოფილა. ბაირახტარი აცხადებს იმასაც, რომ შეუძლებელია სანჯავის ფასი არ აისახოს სხვა პროდუქტების ფასებზე. კერძოდ, საკმაოდ სერიოზული რისკი იქმნება იმისა, რომ სანჯავზე ფასების მკვეთრმა მატებამ ასახვა ჰპოვოს სამომხმარებლო ფასებზე.



ის, რომ ქვეყანაში სანჯავზე ფასები ვერ მცირდება, ამის არგუმენტად ნავთობკომპანიებს ძვირ ფასში შექმნილი მარაგები მოჰყავთ. ბაირახტარი მათი მიზამართით კითხვას სვამს: „რატომ არ აღმოჩნდა კომპანიებს მარაგი და რატომ მოხდა ასეთი მკვეთრი მატება? რატომ არ იყო ეს მარაგები მაშინ შექმნილი, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ფასები მცირდებოდა და რატომ არ მიჰყვებოდა ჩვენი ფასები მსოფლიო ტენდენციას ფეხდაფეხ.“

ჩვენ დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, კომპანიებისგან ვისმართეთ თავის მართლების უსუსურ მცდელობებს, — ამბობს პაატა ბაირახტარი.

„ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტის შეფასებით, ქართული ბაზარი იმდენად არ ემორჩილება გლობალურ ტენდენციებს და ეკონომიკურ პრინციპებს, რომ შეუძლებელია პროგნოზების გაკეთება.

სოფო ძსოვრაძე

როდესაც პარტია რეიტინგს კარგავს, ლეგიტიმაციის სფილს, დანიშნოს არჩევნები, „ოსნებას“ შეუძლია, ასეთი ნაბიჯი გადადგას!



„ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან აფილირებული პოლიტიკური ჯგუფები 10 ივნისს ერთობლივ ფართომასშტაბიან აქციას მართავენ. როგორც თავად ამბობენ, ისინი ზაზა სარალიძისა და მალხაზ მანაღლიკაშვილის ირგვლივ ერთიანდებიან და მათი მოთხოვნა არის დაინაშავეების დასჯა. კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბრიაძე ამბობს, რომ არანაირი გაერთიანებული ოპოზიცია ეს არ არის და ამ შემთხვევაში ვხედავთ პოლიტიკურ თამაშს, ვიდრე რეალური პოლიტიკას. დღეს ექსპერტი მხატვარმა ძაბრიამ გვესაუბრება.

— პარტიებს, რომლებიც იხილენ მთავრობის გადადგომას და ვადადელ არჩევნებს, შეგვიძლია მათ ვუწოდოთ გაერთიანებული ოპოზიცია, თუ ესენი არიან პარტიები, რომლებიც აფილირებული იყვნენ და არიან ნაციონალისტები?

— თავისთავად ის ფაქტი, რომ აქცია გადავიდა პოლიტიკურ ქრილში, გარკვეულწილად, მოსალოდნელიც იყო. ყველა სხვა აქცია (თუ არ ჩავთვლით მეტროპოლიტენის ამბებს), რომელიც საქართველოში ყოფილა, გადადის პოლიტიკურ ქრილში. ყველა პროცესი იდენტურად ვითარდება. აქცია იწყება კონკრეტული მოთხოვნებით და მთავრდება ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით. ცხადია, რომ გამოიწვევს არც ეს აქცია იყო. ბუნებრივია, რომ მოხდა მისი პოლიტიკურ ქრილში გადასვლა და იმავე წუთში დადგა ხელისუფლების გადადგომის და ვადადელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა. ამ მხრივ ყველაფერი ძველ ქართულ ტრადიციებს ემყარება.

მეორე საკითხია რა პოლიტიკური ჯგუფებია გაერთიანებული. რასაც ვუყურებ, გულწრფელად გითხრათ, ყველას ვერ ვცნობ, თუ არ ჩავთვლით ბურჯანაძის პარტიას და ლეიბორისტებს, ის პარტიული ჯგუფებია, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობასთან“ არიან და იყენებენ კავშირს — თუნდაც, იგივე ედუ.

— როგორ ხსნი იმას, რომ ამ შეკრებაზე არ იყო „ევროპული საქართველო“ და მათ სხვა პოლიტიკური სტრატეგია აირჩიეს?

— ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან „ევროპულმა საქართველომ“ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სხვა გზა აირჩია — ის პოლიტიკური გზა, რომელიც მათთვის გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ქუჩაში დგომა და მიტინგებზე ხალხის მობილიზება.

ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია ექებს სამართალს და მათ შორის საზოგადოებაც იხილავს, რომ სამართალი აღსრულდეს, მაგრამ დამატებით თითოეული პოლიტიკური გაერთიანება ცდილობს, აქედან პოლიტიკური სარგებელი მიიღოს და ამომრჩეველს დაამახსოვრდეს. აი, ეს არის ანატომია მთელი ამ ერთობისა. დარწმუნებული ვარ, რა შედეგიც არ უნდა დადოს ხელისუფლებამ 10 ივნისისთვის, ეს აქცია არა მართლ ჩატარდება, არამედ კიდევ დაანონსდება შემდეგი აქციის თარიღი.

— გასაგებია, რომ დაანონსდება შემდეგი აქცია, მაგრამ აზრი, მიზანი რა აქვს ამ აქციას?

— მათი გადმოსახედიდან ხელისუფლებაზე ხორციელდება ზეწოლა, რომ გამოიძიოს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმე. თუ 10 ივნისს არ იქნება დადებული შედეგი, მაშინ როგორც აქციის ორგანიზატორები ამბობენ, იქნება პერმანენტული აქცია და მაშინ უკვე გამოაცხადებენ იმას, რომ დაიწყება ბრძოლა ვადადელი საპარლამენტო არჩევნებისთვის.

— როგორ ფიქრობთ, პროცესების გამწვავების და მართვის რესურსი აქვს ამ ჯგუფს?


— რალაცა რესურსი, ალბათ, აქვს „ნაციონალური მოძრაობას“. დანარჩენი ჯგუფები როგორ შეძლებენ მობილიზებას, ეს სხვა საკითხია. დარწმუნებული ვარ, რომ აქცია ვერ იქნება ისეთი მასშტაბური, როგორც დასაწყისში იყო, როდესაც იქ პოლიტიკური ლოზუნგები და პოლიტიკური ლიდერები არ ჩანდნენ, ეს მიღწევა პროცესია.

— ერთია აქციები და საპარლამენტო გამოსვლები, მეორე — რას აკეთებს და როგორ იქცევა ამ პროცესში ხელისუფლება. ის, რომ შეიქმნა საგამომებო კომისია, საქმეს ახლა შს სამინისტრო იძიებს, ეს არის ხელისუფლების მიერ პრობლემის დაძლევის სტრატეგია?

— იცით როგორ არის, თუ ხელისუფ-

იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციური ფრთაზე ფლაგმანები ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, სხვა ოპოზიციური ძალები კი გაერთიანებას ვერ ახერხებენ, ამ სურათის გათვალისწინებით ხელისუფლების ადგილზე დავნიშნავდი ვადადელს არჩევნებს. თუმცა, მანამდე კიდევ რალაცა აქვს გასაკეთებელი ხელისუფლებას. კერძოდ — დაიდოს სრული სურათი, თუ რა მოხდა ხორავას ქუჩაზე. პარალელურად დაინიშნებოდა ვადადელი არჩევნები, რაც მმართველ გუნდს ძალიან მომგებიან პოზიციაში ჩააყენებდა.

— „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესში რამდენად შედის ვადადელი არჩევნები?



ლება არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომ მიმქრალი პროცესი ისევ გააცოცხლოს, მაშინ ეს აქციები მიწვდება. მაგრამ არ ვიცი, რა ხდება, რას აპირებს ხელისუფლება და როგორია მისი სტრატეგია. გულწრფელად გითხრათ, თუ ვინმეს დღეს ხელს აძლევს ვადადელი არჩევნები, ეს პირველ რიგში არის ხელისუფლება, რომელსაც აქვს დაღმავალი რეიტინგი და 2020 წლისთვის როგორი იქნება ეს რეიტინგი, არავინ იცის.

— უფრო მეტად აწყობს, ვიდრე „ევროპულ საქართველოს“. აქაც პოლიტიკური ინტერესია. „ნაციონალური მოძრაობას“ უფრო მეტი მხარდაჭერი ჰყავს, ვიდრე „ევროპულ საქართველოს“, ელექტორატის მხარდაჭერა კი პროპორციულად არ არის ასახული პარლამენტში. „ევროპული საქართველო“ გაცილებით მეტი დეპუტატით არის წარმოდგენილი პარლამენტში, არადა, მხარდაჭერათა რაოდენობა ნაკლები ჰყავს.

„ტექნოლოგიური უნივერსიტეტის“ შენობა სასტუმროდ ბინადა იქცევა

ბათუმის ბულვარში მდებარე შენობაში, რომელშიც თავის დროზე ტექნიკური უნივერსიტეტის გახსნა იგეგმებოდა, ფართობები საცხოვრებელ ბინებად გაიყიდა. „ბათუმელების“ ინფორმაციით, შენობა სამი წლის წინათ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ სასტუმროს გახსნის პირობით გაასხვისა შპს „ბათუმი თაურზე“. მოგვიანებით შენობის გვერდით ახალი მშენებლობა წამოიწყო.

„ბათუმი თაურში“ აცხადებენ, რომ ახალ შენობაში სასტუმრო და კაზინო იმუშავებს, მაღლივი კორპუსი კი მთლიანად საცხოვრებელ ბინებად გაიყიდა. კომპანიაში გვითხრეს ასევე, რომ გაყიდვები უკვე დაწყებულია, თუმცა საცხოვრებელი რეზიდენცია, სასტუმრო და კაზინო, 2019 წლის ზაფხულში გაიხსნება.

ოფიციალურ დოკუმენტებში „ბათუმი თაურად“ რეგისტრირებული და თავის დროზე ტექნოლოგიური უნივერსიტეტად გამოცხადებული შენობა სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ ელექტრონულ აუქციონზე, 2015 წლის მარტში გაყიდა. შპს „ბათუმი თაურმა“ ქონება 25 მილიონ 4 ათას 626 დოლარად შეიძინა. ეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2014 წლის ნოემბერში დაარეგისტრირა დეველოპერულმა კომპანია „რედკომ“.

ბაკურიანში ყინულის მოქალაქე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ბაკურიანში მრავალფუნქციური ყინულის მოედნის მშენებლობას გეგმავს. პროექტის კონცეპტუალური გეგმა განიხილეს მუნიციპალური განვითარების ფონდში. შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე გრიგოლ კაცია, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯუანშერ ბურჭულაძე, მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით ამ დღეებში მრავალი ისტორიული ფურცალი გავიხსენა. მინდა, მკითხველს შევთავაზო საქართველოში საშუალო-დაბალი საზოგადოებრივი ფენის ანაწილი, რადგანაც ის ყველაზე მეტად აწუხებდა...

ამ წერილში აუცილებლად მივხატავ, გავიხსენო ის ფაქტი, რომ 1865 წლიდან თბილისში არსებობდა თბილისელ მეზურეთა გაერთიანება, რომლის თავდაცვითი ღვაწლიც იყო, მაგრამ მსოფლიო ომისა და რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველო ფაქტობრივად პურის გარეშე დატოვა (წერს იმდროინდელი პრესა)...

ბის ქარხანა და დაიწყო შევიცარიული მკარონის, „მიულერის“ წარმოება. რაც შეეხება საფუარს, ნედლეულის უქონლობის გამო, ადგილობრივი ქარხანა აღარ მუშაობდა. თურქეთიდან კი შემოვიდა საფუარი, რომლის ქარხანაც ფრანგული ფირმა „ლესაბლის“ მიერ იყო აგებული ქამასიაში.



ქართულ პურის მწარმოებელთა უსტაბაში სოფრომ ვარაზი 1865 წ.

აუცილებლად უნდა ვახსენო ქართველ ინჟინერ-კონსტრუქტორის რაფაელ გამსახურდიას ღვაწლი, რომელმაც ქართველ მეზურეთათვის შექმნა დამამზადებელი კონვეიერული ღუმელები. 1960-1975 წლებში, სწორედ მან შემოიკრიბა ქართველი ახალგაზრდა ინჟინერები და საფუძველი ჩაუყარა პურიპროდუქტების დარგის განვითარებას. შესანიშნავი საწარმოები გაჩნდა ქუთაისში ოთარ მაღლაფერიძის თავკაცობით. რუსთავეში, ბათუმში, თელავში, გორში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფქვილის საწარმოო წისკილები და ელევატორები. საქართველოში კომუნისტების სახელით უნდა ითქვას, რომ მათ შექმნეს...

პურის წარმოების უსტაბიდან გასასხაველად



მეპურათა ამჟამის შეკრება (ბოქრა რიგში სინტორი როსტომ ვარაზი). 1865 წ.

როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, 1917 წელს საქართველოში პურის საწარმოო კრიზისი დაიწყო. „ჩვენი ქვეყნისთვის ხორბლეულის ძირითადი მიმწოდებელი ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა და რუსეთის ცენტრალური გუბერნიები იყო, მაგრამ მსოფლიო ომისა და რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველო ფაქტობრივად პურის გარეშე დატოვა (წერს იმდროინდელი პრესა)...



საქართველოს პურპროდუქტების საინჟინერო სკოლის დამაარსებელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რაფაელ გამსახურდიანი.

მძღვარი გადამამუშავებელი სიმძღვარევი ფოთში, გორში, თბილისში, მარნეულში, კაჭრეთში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2010 წლებში დაშვებული შტეტდომების გამო ეს საწარმოები გაჩერდა და, სამწუხაროდ, თურქეთში რუსული ხორბლის გადამამუშავებელი საწარმოებს დაუთმო პირველობა. ურთულესი გამოწვევების წინ აღმოჩნდა საქართველო 1990-იან წლებში რუსეთთან ურთიერთობების გამწვანებასთან ერთად. პრობლემები დაიწყო ენერგომატარებლებთან დაკავშირებით. შეწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება, 1992 წელს გაჩერდა თბილისის საფუარის ქარხანა, პურის ქარხნები ავარიულ რეჟიმში მუშაობდნენ, სწორედ დიზელ-გენერატორებით მიუხედავად იმისა, რომ მათთვის მარაგები ყოფილ თბომეურნეობებში იყო შემორჩენილი საბჭოთა პერიოდიდან, ის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. ასეთ პირობებში რვა პურის ქარხანა და რამდენიმე საცხობი უმკლავდებოდა დედაქალაქის პური უზრუნველყოფას, ღუმელები უხარისხო მათთვის გამო მწყობრიდან გამოდიოდა.

7 სექტემბერს თბილისის ქალაქის თავმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელიც ქალაქში პურზე ახალი სახელმწიფო ნიხრის შემოღებას უკავშირდებოდა, იგი ინტელიგენციას სთხოვდა მოსახლეობისთვის პურზე ფასის მომატების აუცილებლობა აეხსნა: „მოქალაქეო, ენენის თვის 8-დან სასურსათო კომიტეტი ახალ ნიხრს აწვევს: გირვანჯა პური 23 კაპიკი, თონისა – 24 კაპიკი. ეს ფასი აწვევს სრულიად შენეებულ ხორბალზე ფასების ერთი ორად აწევას. მისზე ნაკლებად უნდა პურის გაყიდვა შეუძლებელია.“

ბევრი არ იცნობს ეკონომიკურ მდგომარეობას და ასეთი ნახტომი პურის ფასების აწევაში მეტად დიდად ეჩვენება. ქალაქის გამგეობა საჭიროდ სთვლის, რომ ქალაქის მოწინავე ინტელიგენციამ აუხსნას მცხოვრებთ არსებული სასურსათო კრიზისი და ხსენებული ნიხრის მიღების საჭიროება უგანგაშით. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი და იმდენად მჭიდროდაა გადაწული რევოლუციის ბეჭეზე, რომ ამ დარგში ჩარევა აუცილებლად საჭიროა. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, რომ თქვენ განუმარტავენ ყველას და ჩააგონებთ, პურის ფასების აწევას თუმცა სამწუხაროა, მაგრამ აუცილებელია.“

ნიხრის აწვევის შედეგად მოსახლეობაში პანიკა დაიწყო და ხალხი პურის დუქნებსა და ფურნებს მიანყდა. 27 სექტემბერს ქალაქის უკლებლივ ყველა საცხობთან უზარმაზარი რიგი იდგა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ცნობით, შიმშილის ზღვარზე იდგა სიღნაღის, გორის, ახალქალაქ-ბორჯომის მახორები, სადაც მარაგი საერთოდ გამოიღია. სასურსათო კომიტეტი პერიოდულად ვერაფრით ეხმარებოდა, რადგან დედაქალაქისთვისაც კი არ ჰქონდათ საყოფიერი პური. 1918-1919 წლებში მდგომარეობა შედარებით უფრო გამოსწორდა – რუსეთიდან, უკრაინიდან, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებიდან, აგრეთვე კახეთიდან იმპერიულ კარგი მოსავლის ფაქტორმა დადებითად იმოქმედა საქართველოში პურის ბაზარზე, საგულსხმოა, რომ 1920 წლიდან თბილისში გერმანელმა კოლონისტებმა რამდენიმე საცხობი გახსნეს და თბილისელებს მრავალფეროვან ფქვილოვან ნაწარმს სთავაზობდნენ („ბულიკი“, „რულეტი“, „პონჩიკი“, ალმოსავლური ქაძები და სხვა), თბილისის თითქმის ყველა უბანში მუშაობდა შემაზე თონეები და ფურნები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამჟამად არსებულ პურის მოედანზე განლაგებული საცხობები. პოპულარობით სარგებლობდა „ამაის ჯვრის“ ეკლესიის გვერდით თხელი ლავაშის საცხობი, რომელიც მიხეილ ჭიაურელს მოხსენიებულა იქვე იმის ფილიში, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, სადაც მთავარი გემრილი გიჟუა ასეთ ფრაზას ამბობს – „გაგაბრტყელებს ჯვარისამაის ლავაშითა“.

ძალიან გართულდა ქარხნებში სამუშაო პირობები, დაცვა ვერ უმკლავდებოდა მოზღვავებულ ადამიანებსა და შეიარაღებულ ფორმირებებს. მერიას ვთხოვეთ ქარხნების დაცვა გამოიერებულყოფი, ფორმიანი ბანდფორმირებებმა პურით დატვირთული მანქანებიც კი გაიტაცეს. იტაცებდნენ მზა პროდუქციას, ფიზიკურად უსწორდებოდნენ მეპურეებს, რუსთავეში ცვლის უფროსი სამუშაო ადგილზე მოკლეს. დაჭრის ფაქტები იყო თბილისში, ბორჯომში. ქარხნების დაცვა დაევა პოლიციის უფროსებსა და გვარდიელებს, გარდა ამისა, ქარხნებში მიამაგრეს კონტროლის პალატისა და პროკურატურის თანამშრომლები, რომლებიც გაციუ-

ბული იყვნენ შექმნილი რეალობით. ფქვილი წისკილქარხნებიდან შემოდინოდა, ხორბალი კი ძირითადად ამერიკული დახმარება იყო. ედუარდ შევარდნაძის თხოვნით და ავტორიტეტით ბაკურ გულუა, ომარ კაციტაძე, ანზორ ბურჯანაძე, იური ოსიპოვი, გივი გელენიძე ყველა ღონეს ხმარობდნენ ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფისთვის. იყო დღეები, როდესაც სულ რამდენიმე საათის მარაგად რჩებოდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქალაქ თბილისის ვიცე-მერის ჯემალ ზამბახიძის თავდადება, რომელიც ერთ-ერთი კოორდინატორი და სულის ჩამდგმელი იყო, რათა თბილისს უზურობა არ ეგრძნო. ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიხსენებთ თბილისის მაშინდელ მერს ბატონ ნიკო ლეკიშვილს, რომლის გადამტყრელმა სწორმა ნაბიჯებმა პურის მწარმოებელთა გვერდით დგომამ თბილისს უზურობა არ გავრცობინა და დიდი პრობლემა, რომელიც იდგა, წარმატებით გადაიჭრა. პურის ქარხნების სასახელოდ უნდა ითქვას, თითოეული ხელმძღვანელის, მექანიკოსების, ტექნოლოგების მეტად დაძაბული და ხშირად გაუსაძლისი შრომის მიუხედავად, პურზე სერიოზული პრობლემა არავის შექმნია.

დღეს სულ სხვა რეალობაა. განხორციელდა ლიბერალიზაცია, გაჩნდა მრავალფეროვნება, პურის რაოდენობა ხარისხმა შეცვალა, თუმცა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ჩვენშიც სულ უფრო მოიკიდა ფეხი ინტენსიურმა (სწრაფმა) ტექნოლოგიებმა, რასაც მეცნიერები ჯერ მოწონებით შეხვდნენ, თუმცა დღეს საპირისპირო მოსაზრებებია, რადგან მომრავალდა სხვადასხვა საეჭყო წარმოების დანამატებისა და კონსერვანტების, „გამამუშავებელთა“ და ინგრედიენტების გამოყენება, მიუხედავად იმისა, სულ უფრო მეტს საუზრობენ ნატურალურ პროდუქტებზე და კლასიკური ტექნოლოგიის მეთოდებზე ყოველივე ამის მიღწევა დაკავშირებულია ნედლეულით.

საქართველო დღეს 800-900 ტონა ხორბალს მოიხმარს, სასურსათოდ ვანარმობთ მხოლოდ 250 ათას ტონას, თუმცა ჩნდება კარგი პერსპექტივები და ტენდენციები – ვიმედოვნებთ, რომ ჩვენშიც განვითარდება როგორც ხორბლის მოყვანის კულტურა, ასევე მისი გადამამუშავება. თითოეული ნაბიჯი, გადადგმული ამ მიმართულებით მეტად საყურადღებოა. ვიტყვებ იმის იმედსაც, რომ ცხოვრების ახალ რეალზე გადასვლას თითოეული ადამიანის, განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელის ხელშეწყობა და სწორი მიდგომა სჭირდება, რადგან თითოეული არასწორად გადადგმული ნაბიჯი აისახება როგორც პურის ხარისხზე, ასევე მის ფასზე. ეს გახლავთ დამოუკიდებელ საქართველოში პურის წარმოების მცირე ისტორია. პრობლემები პურის წარმოებაში დღესაც ბევრია, მაგრამ იმედს ვიტყვებთ, რომ გააზრებული და სწორად გათვლილი ნაბიჯებით საქართველოს პურის წარმოების დარგი, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს, კვლავ მსოფლიოს მოწინავე ქვეყანათა შორის ჩააყენებს.

გალსაზ დოლიძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

ღვთის შვილებო, აღვასრულოთ შეგონება მადლით ღმერთის!

„ – საქართველო აუცილებლად გადარჩება ... ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნებების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება.“

* * *

„ – მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი... იბრძოლეთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი“

ილია II



უჭირს საქართველოს, საქართველოს უჭირს, ძლიერ, ძლიერ, არნახულად უჭირს,

ჩრდილოელმა ჩექმამ (გინდაც დათვი არქვი) ჩვეულ უტიფრობით ლამის გადათელოს.

ამ დროს „მეგობრების“ (რომ ვუწოდებთ ერთგულს) ყალბი, ვითომ ცრემლი, შემოფოთება ფუჭი, თანადგომა ფუჭი, მხარდაჭერა ფუჭი, ცრუ ჩუხილი ფუჭი. არსაიდან იმედს არ უტოვებს ბედკრულს, ფრთა-მხრებზე მოფლეთილ ობოლ საქართველოს.

კარის „მეზობლებიც“ (ნაბუღბე რომ დგანან) უამს ელიან – ძალით მიითვისონ მისი – რაც წარსტაცეს დღემდე – მიწა, ათჯერ მეტი. ასე ნაბიჯ, ნაბიჯ, ნაბიჯ ვიწროვდება რწმენა გადარჩენის.

ორ ზღვას შორის ამჟამადაც საომარი არის ლელი, ვეჭვობ, უკვე სხვათა ომში კვლავ გადარჩეს საქართველო. ფიქრი მზარავს: ხეაღინდელი დღე უმისოდ გათენდება, არ დარჩება ღვთის კრავისგან ადარც ხორცი, ადარც სული.

ასე მოდის, ასე მოვა, ასე ჩანს და ასე დგება არყოფნა და აღსასრული.

ცისკენ თვალ-ხელაპყრობილებს: „ – ღმერთო, როგორ გადავჩვენებთ?“
ბეცით გვემის: „ – ის, რაც ხდება, არის თავად თქვენი ბრალი. ქვაბავაზკთ რომ ჩაუგდეთ ხელში ქვეყნის მთავალი. მინდობილნო ცრუ მოენეთ, გამოფხიზლდით, გონს მოეგეთ, გამოფხიზლდით, გამოფხიზლდით, გამოფხიზლდით, გამოფხიზლდით, ნუ ჩაჰყვებთ უფსკრულს ძირში.“

უფლის ნიშანს საოცარი ახმოვანებს ტაძრიდან ხმა: „ – ქვეყნის ბედი უნდა მართოს

ხალხმა, ხალხმა, მხოლოდ ხალხმა. ღვთის შვილებო, ჭკუას უხმეთ ამ დამღუპველ ვასაჭინში. გაიხსენეთ, საქართველოს ცის და მიწის დასაცავად, რაჩივ მართალ, რაჩივ ალალ, რა ჩამებულ შვილებს ზრდიდით. ახლაც

ახლად მოივლინეთ მოფიქრალნი ქვეყნის ბედზე, მოივლინეთ ჭეშმარიტად გულმართალნი, ქვეყნის მხსნელნი, მიღწი ქოსამატყუარნი რომ ჩაჩუმქონნ მძიმე ხელით. მოივლინეთ გამომხსნელად სამომავლო გრძნეულ ნასკვის, წლების წინ რომ დავკარგეთ და, სამწუხაროდ, ადარც ვეძებთ.

სამების თავს ცა ვახსნილი ვიგუზანე იმ იმედად – შექმფინარე ნათლის სვეტი, ჭეშმარიტად ერთადერთი, ამ მწუხრის უამს საქართველოს სახსნელად რომ დაეგზავნა,

ერო, ბერო, აღვასრულოთ შეგონება მადლით ღმერთის!
გივი შაჩილაძე



პატრიარქი თავის ნათლულებთან. 2017
ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

ქართული როზაი სცენაზე

ელგუჯა მარლიას დოქში ჩიტი ზის... რამ გაგვაკვირვოს?

– არ დანერ?
– რატომ შეკითხები?
– ვიფიქრე, რაკი ინსცენირების ავტორია, შეიძლება, თავი შეიკავოს - მეთქი. არადა, მინდა, სწორედ შენ დანერ...
ვნერ.
ელგუჯა მარლიამ დანერა როზაიები, რასაც უმაღლე დიდი რეზონანსი მოჰყვა.
როზაიამ გაგაკვირვოს იმ ქვეყანაში, სადაც **ომარ ხაიამის** შემოქმედება **ვასუშტი კოტეტიშვილი** და სხვა მთარგმნელებმა ლამის ეროვნულ ფენომენად აქციეს?!
ფაქტია, რომ გაგაკვირვა.
და ამას ერთადერთი ახსნა აქვს: ელგუჯა მარლიამ მოახერხა, შეექმნა ქართული როზაი, ანუ ძველ ტიპში ახალი ლენო ჩაესხა.
მაგალი თოდუამ წლების წინათ გააშთა ხაიამის როზაიები და წიგნი ასე დაასათურა: „ღმერთო, დუდუკი, ქალეზი“...
რაცინდ გულმოდგინედ გვიმტკიცონ მკვლევარებმა, რომ სინამდვილეში დიდი ნიშაპურელი ასევე იყო და ლენო არასოდეს გაუსინჯავს, მაინც ვერსად გავუქცევით იმ ფაქტს, რომ მის როზაიებში ქალი და სასმელი ძალუდად ფიგურირებს.
ელგუჯა მარლიას როზაიებში კი ჩვენი სამშობლოს ყველა დღევანდელი სატყვეობა გამოხატულია.
ამასთანავე, დახატულია ერის საუკეთესო შვილთა საუკეთესო პორტრეტები.
სწორედ ეს ორი მთავარი ნიშან-თვისება განაპირობებს ელგუჯა მარლიას როზაის ქართულობას.
*** * ***



დაინერა 330 ქართული როზაი.
როსტომ ჩხეიძის გაუჩნდა იდეა – შექმნილიყო ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც სპექტაკლად იქცეოდა. ამით საფუძველი ჩაეყრებოდა **გალაკტიონის** ოცნების ახდენას – დაარსებულიყო პოეზიის თეატრი.
ინსცენირება მე დამეგვალა.
გარკვეული სკეპტიციზმის მიუხედავად, კომპოზიცია შედგა.
მაგრამ ვინ აქცევდა სპექტაკლად? და რეჟისორიც გამოჩნდა – მოზარდ მყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დიმიტრი ხეთისიაშვილი**.
ამ თეატრში მისი მოღვაწეობა უკვე ისეთი წარმატებით აღინიშნა („აურზაური არაფრის გამო“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და სხვ.), რომ თითქოს აღარაფერს უნდა გავეკვირვებინეთ.
როცა ლიტერატურული კომპოზიცია სრულყოფილ სპექტაკლად, ჭეშმარიტ სანახაობად ვისილეთ, მაინც გაკვირვებული დავრჩით.
რამდენი რამ მოუფიქრებია რეჟისორს ჩვენს გასაკვირვებლად?!
როგორი ქარგა მოუქმებია წარმოდგენისთვის, როგორ „აუთამაშებია“ თითოეული ლექსი, როგორ შეუსამებია მისთვის ზუსტად მოქმენილი მელოდიები...
რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვანია მუსიკალური გამფორმების **ალექსანდრა ლორთქიფანიძის** წვლილიც.
რა თქმა უნდა, თავისი ღვაწლი არც რეჟისორის თანაშემწეს **ხათუნა საძაგლიშვილს** უნდა დავუკარგოთ.
და მსახიობები?!
ნინო შაპიაშვილი, ეკატერინე შარიქაძე, ლაშა გრძელიძე, გიორგი კაჭახიძე, რატი ნავაძე.
კი არ კითხვობენ, თამაშობენ. ხუთი ნამდვილი პროფესიონალი. რაც მთავარია, სცენაზე დგას ხუთი გულანთებული მსახიობი – მოქა-

ლაქე, რომლებიც სამშობლოს სიყვარულსა და მის ტკივილებს უგულწრფელები განცდით გამოხატავენ.
*** * ***
აშკარად ვიგრძენი: მას, ვინც მეკითხებოდა, დანერ თუ არაო, სპექტაკლი ძალიან მოსწონდა, მაგრამ შენიშვნებიც ჰქონდა.
უნდოდა, მე მეთქვა.
ვაგობო, ოლონდ, ჩემსა და, ცხადია, არ ვიცო, მისას რამდენად დაემთხვევა:
„უზომოდ მადლიერი ვარ დიმიტრი ხეთისიაშვილის.
მართალია, ჩემს „პიესას“ ისე მოექცა, როგორც სტურუა შექსპირს, მაგრამ შედეგმა აქაც უეჭველად გამართლა.
თუმცა, მე მაინც იმ აზრზე ვრჩები, რომ წარმოდგენაში მთხრობლის არსებობა აუცილებელი იყო.
არაჩვეულებრივად კითხულობს ჩემეულ ტექსტს თვითონ რეჟისორი, მაგრამ ის მაინც ჩანანერით ისმის, რაც ბუნებრივად აკარგვინებს და, რალაც დოზით, პათეტიკურობასაც სძენს. მთხრობელი პირდაპირ მიმართავდა დარბაზს და უბრალოდ შეახსენებდა მყურებელს ომარ ხაიამის ბიოგრაფიას თუ როზაის არსს.
რატომ არის საჭირო ეს ყოველი-



ვე? – ზოგიერთს ეს კითხვაც გასჩენია. იმიტომ, რომ გამართლდეს წარმოდგენის სათაური: „ომარ ხაიამ, შენიყაჩე ჩემი როზაი“.
რაც მთავარია, გამოიკვეთოს, რით განსხვავდება და გამოირჩევა ელგუჯა მარლიას როზაი, თორემ ამ მყარ სალექსო ფორმას რომ ვერავინ შეცვლის, ისედაც გასაგებია.
ჩემთვის, ამ თვალსაზრისით, პატრიოტული მოტივის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს ფრაზაა: **„თუ ომარ ხაიამის სურამი ღვინო ასხია, ელგუჯა მარლიას დოქში ჩიტი ზის.“**
ამით განსხვავებულობას გავსხავავთ, თორემ ომარ ხაიამს ვინმეს როგორ დავატოლებთ?!
სხვა შენიშვნები: ზოგჯერ სიმღერა ჩაგრავს სიტყვას, რასაც ადვილად მიუხედავია.
ვფიქრობ, როცა მიძღვნითი როზაიების კითხვისას ეკრანზე პორტრეტები ჩნდებიან, სასურველია, „გაკრული ხელით“ სახელ-გავრებებიც ენეროთ.
მით უმეტეს, რომ პორტრეტები საკმაოდ მკრთალადაა განათებული (ალბათ, ასეც უნდა იყოს)...
ზოგიერთ მყურებელს გაუჭირდა, მაგალითად, ნოდარ წულუკის კირისა და რეზო ჭეიშვილის გამოცნობა. ერთს კი პავლე ინგოროყვა ექვთიმე თავისუფლად მოეჩვენა.
არც ესაა ძნელად გამოსასწორებელი.
*** * ***
წარმოდგენა კი აშკარად შედგა. ელგუჯა მარლიას დებიუტი ქართულ სცენაზე უდავოდ წარმატებულია.
ვისაც ეს არ გაახარებს, უბრალოდ შევახსენებ:
„შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა.“
შორს ჩვენგან მწუხარება!
იოსებ ჭუმბურიძე

დონალდ ტრამპმა საქართველო ნატოში არ უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ ჩათრეული იქნება და განხორციელდება რაიმე სახის დაპყრობა!

„აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური ისტეპლიშმენტის წარმომადგენლები თვით სახლს მოუწოდებენ, რომ რუსეთთან კონფრონტაციული პოლიტიკა გააძლიეროს. ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური წინადადებაა, რაც შეიძლება მეტი რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოები მიიღონ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრად. ეს არის არაპროგრესული და აშშ-ის ინტერესებისათვის საზიანო პოზიცია, რომელიც რუსეთს მომენტალურად გადააქცევს მტრად“, — ასე იწყება გავლენიანი ამერიკული გამოცემის „The National Interest“-ის მიერ დემილ დევისის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია.

ბასულ კვირას ონლაინ-ჟურნალ Defense One-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ფონდ „ემეკვიდროების“



თანამშრომელი ლიუკ კოფი წერს: „ამერიკელ და ევროპულ პოლიტიკოსთა მტკიცებით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ნატოში საქართველოს განწევრებასთან დაკავშირებული არის რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „ოკუპაცია“. თუ საქართველო ნატოში განწევრდება, მაშინ ალიანსის წესდების მე-5 მუხლის ძალით, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიას ითვალისწინებს, ნატომ რუსეთთან ომი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

ყოველი ამერიკელი უნდა იცოს შემოვლოებული იმით, რომ საგარეო-პოლიტიკური ლიდერები ლიდ და მოითხოვენ ნატოში იმ არასტაბილური ქვეყნების მიღებას, რომლებიც რუსეთის საზღვრებთან მდებარეობენ. ყოველმა ამერიკელმა უნდა იცოდეს, რომ მათი ალიანსში მიღებით ამერიკა ჩათრეული იქნება საზიანო, დამანგრეველ ომში სხვა ბირთვულ სახელმწიფოსთან. ამერიკამ ისეთ ქვეყნებთან ისეთი ხელშეკრულებები უნდა დადოს, რომლებიც მის უსაფრთხოებას განამტკიცებს. ასევე, ნატოშიც მხოლოდ ისეთი ქვეყნების განწევრება უნდა მოხდეს, რომელთა მიღებით აშშ-ის უსაფრთხოებაც განმტკიცდება. უკრაინის ან საქართველოს ნატოში მიღება კი ამერიკის უსაფრთხოების დონეს არანაირად არ გაზრდის, პირიქით — გაზრდება მხოლოდ სტრატეგიული რისკები.

ბირთვული იარაღის გარეშე რუსეთი აშშ-სათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ბირთვული ტრიალის (ანუ ბირთვული შეიარაღების სამი კომპონენტის — სტრატეგიული ავიაციის, საკონტინენტთაშორისო რაკეტებისა და ატომური წყალქვეშა ნავების) არსებობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთი ამერიკის წინააღმდეგ ომს არასოდეს არ დაიწყებს, რადგან თვითონაც გარანტირებულია იქნება განადგურებული. რაც შეეხება ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა თავისი არმიის მომზადებისა და შეიარაღების დონე გააუმჯობესა, ის მაინც ბევრად ჩამოუვარდება აშშ-ისა და ნატოს არმიების დონეს.

ვაშინგტონმა რუსეთის შეპყრობის პოლიტიკა უნდა გააბრუნოს, რომელიც 75 წლის განმავლობაში მუშაობდა, ახლაც მუშაობს და არც მომავალში არ შეწყვეტს მუშაობას.

დენიელ დევისი,
გაღმადგარი პოლკოვნიკი, აშშ-ის თავდაცვითი ინიციატივების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.
„The National Interest“ (აშშ)

სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1962 წლის 1 ივნისი

სელსუფლების მიერ ხორცილისა და რძის პროდუქტებზე ფასის მკვეთრი გაძვირებითა და გამოუმუშავების ნორმების გაზრდით აღშფოთებულმა ნოვოჩერკასკის ელმავალმშენებელი ქარხნის მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს და შრომის ანაზღაურების მომატება მოითხოვეს. მეორე დღეს ჯარმა ტყვია დაუშინა დემონსტრანტებს. მოკლეს ათობით ადამიანი.

1195 წლის 2 ივნისი

აზერბაიჯანის სულთანი, ათაბაგი აბუ-ბაქარი საქართველოს დაპყრობას შეეცადა. ბრძოლა მოხდა შამქორის ველზე. ქართველთა მეფე თამარი რამდენიმე დღე და ღამე მუხლმოდრეკილი მხურვალედ ლოცულობდა. შამქორის ველი მტრის სასაკლავოდ იქცა. ქართველთა ჯარი შინ მტრისგან აყრილი იარაღით, თურქთა დახრილი დროშებითა და ტყვეებით დატვირთული დაბრუნდა.

1918 წლის 4 ივნისი

ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. მას ხელი მოაწერეს აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებმა. ამ ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურბალიმის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიადინის მაზრების სამი მეოთხედი და სხვ.

1818 წლის 10 ივნისი

კავკასიის მთავარსარდალმა ალექსეი ერმოლოვმა მდინარე სუფაზე საფუძველი ჩაუყარა რუსულ ციხესიმაგრე გროზნოს. მისი მშენებლობა იმავე წლის ოქტომბერში დასრულდა. ამ რუსული ციხესიმაგრის დაარსებას კავკასიის ხაზის თერგიდან სუფაზე გადატანა მოჰყვა და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჩეჩენები.

1724 წლის 12 ივნისი

კონსტანტინოპოლში რუსეთ-თურქეთს შორის დაიდო ზავი, რომლითაც მხარეებმა გაიყვეს კავკასიაში დაკავებული ტერიტორიები; თურქეთმა ცნო რუსეთის კასპიისპირეთის მონაპოვარი, რუსეთმა კი აღიარა თურქეთის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოზე, აღმოსავლეთ სომხეთსა და ჩრდილოეთ ირანის ზოგიერთ ტერიტორიაზე.

1811 წლის 13 ივნისი

კანონით, საეკლესიო აზნაურები და გლეხები საეკლესიო უწყებიდან სახაზინოში (სახელმწიფო უწყებაში) გადაირიცხნენ. საეკლესიო ქონების სახაზინო უწყებაში გადაირიცხნა ძალიან გაჭიანურდა და საბოლოოდ 1852 წელს დასრულდა.

1812 წლის 12 ივნისი

საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ ბონაპარტემ მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად გადალახა მდინარე ნემანი და შეიჭრა რუსეთის საზღვრებში. ამით დაიწყო ნაპოლეონის ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ოპერაცია რუსეთის მიწაზე, რომელიც საბოლოოდ კატასტროფული მარცხით დასრულდა.

სინგაპურში კიმ ჩენ ინის ორგანიზაციის დაარსება


სინგაპურის სამიგრაციო სამსახურმა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის ორგანიზაციის დაარსება ორგანიზაციის დაარსება, ჩანგის აეროპორტში დააკავებს. საეჭვო გარეგნობის კაცი ჯერ გაჩნდის და შემდეგ ორი საათის განმავლობაში კითხვებდნენ.



„ჩემი ჩანთები შეამოწმეს და მითხრეს, რომ ჩემთვის დელიკატური მომენტია სინგაპურში ყოფნა და რომ მე სენტოსის კუნძულიდან და სასტუმრო Shangri-La-დან თავი შორს უნდა დავიჭირო“, — დაწერა კაცმა Facebook-ის პირად გვერდზე. 12 ივნისს სინგაპურში ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის და აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შეხვედრა გაიმართება.

პაპიუმ ვულკანის ამოფრქვევის შედეგად 600-მდე სახლი განადგურდა

ჰავაიში ვულკან კილაიუას ამოფრქვევის შედეგად 600-მდე საცხოვრებელი სახლი განადგურდა. ამის შესახებ Reuters ჰავაის ოლქის მერზე გარი კიმზე დაყრდნობით იტყობინება.



ალნიშულია, რომ სტიქიისგან დაზარალებულების დასახმარებლად მილიონი დოლარია გამოყოფილი. 1 შესაბამის განკარგულებას ხელი პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოაწერა.

ავსტრიის ხელისუფლება აპირებს დახუროს 7 მეჩეთი და ქვეყნიდან გააძევოს 40 იმამი ისლამისტური იდეოლოგიასთან და უცხოეთიდან, ძირითადად თურქეთიდან, დაფინანსებულ რელიგიურ გაერთიანებებთან საბრძოლველად. ქვეყნის კანცლერის სებასტიან კურცის განმარტებით, ავსტრიაში „არ უნდა ჰქონდეს ადგილი პოლიტიკური ისლამის პარალელურ საზოგადოებებსა და რადიკალიზაციის ტენდენციებს“.

ავსტრიის 8.8-მილიონიან მოსახლეობაში დაახლოებით 600 000 მუსლიმი ცხოვრობს, აქედან უმრავლესობას თურქები წარმოადგენენ. „ეს მხოლოდ დასაწყისია“, — განაცხადა ვიცე-კანცლერმა ჰაინც-ქრისტინ შტრაპემ. გარდა ამისა, ავსტრიელმა მინისტრებმა განაცხადეს, რომ 60-მდე იმამი, რომლებიც მიეკუთვნებიან ATIB-ს (თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებულ მუსლიმურ გაერთიანებას), შეიძლება გააძევიან ქვეყნიდან ან ჩამოართვეან ვიზა, რათა მათ ვეღარ მიიღონ უცხოეთის ქვეყნიდან დაფინანსება.



ნათლობის მღვდელს ნიანი დაესხა თავს

ეთიოპიაში მღვდელს, რომელიც ტბაში ნათლობის ცერემონიას ატარებდა, ნიანი დაესხა თავს, რის შედეგადაც მღვდელი გარდაიცვალა. დოქტორმა ემეტე ნათლობის ცერემონიას ქალაქ არბა მინჩიში ერთ-ერთ ტბაში ატარებდა. პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, ფეხებზე, ხელზე და ზურგზე დაკბენილი მღვდელი, მიუხედავად ექიმების დიდი მცდელობისა, გარდაიცვალა.



საგამომიებო კომისიის პირველი სხდომა

გუშინ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა — „დიდი მადლობა ყველას მონაწილეობისთვის და იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე კომისიაში შემოვა მასალები, რომ მისი მიხედვით დავგვემოთ ჩვენი მომდევნო საქმიანობის გრაფიკი“, — განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ სერგი კაპანაძემ.

სარალიძე კომისიას სრულ ნდობას უსხალებს, ბარდა ეკა ბესელიასი



ზაზა სარალიძის და პარლამენტის საგამომიებო კომისიის თავმჯდომარის შეხვედრა გუშინ გაიმართა. როგორც შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ, ზაზა სარალიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის სრულ ნდობას უცხადებს კომისიას და მის წევრებს, გარდა ეკა ბესელიასი. სარალიძე ამბობს, რომ საგამომიებო კომისიის თავმჯდომარეს მან დაუსახელა ყველა პირის ვინაობა, რომელიც მისი შვილის მკვლელობისა და დანაშაულის

დაფარვის საქმეში ფიგურირებენ და რომელთა დავავეებასაც ის ითხოვს:

„ყველაზე მთავარი, პირველ რიგში — დაიბარონ პროკურორები, გამოძიებლები, ნებისმიერი, ვინც ცდილობდა შევერვას... დავასახელე მონაწილეები, კონკრეტული გვარები... ბოლომდე ვითანამშრომლებ კომისიასთან, ვენდობი აბსოლუტურად. კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა...“

რაც შეეხება 10 რიცხვს. თუ კონკრეტული ნაბიჯები მთავრობამ არ გადადგა, ეს კომისიის ვალდებულება აღარ არის უკვე, ძალაში რჩება აქციები. კონკრეტულ ნაბიჯებს ველოდები, რომელზედაც უკვე ხელმოსაჭიდი აქვს ხელისუფლებას. მინისტრებს დავუსახელე კონკრეტული პირები, რომლებიც უნდა დააკავონ და ამის საფუძველი აქვთ...საკმაოდ ბევრი ადამიანია... მე სახლში დაბრუნებას არ ვაპირებ“, — აცხადებს ზაზა სარალიძე რაც შეეხება ეკა ბესელიას, რომელმაც სარალიძეს „ფეისბუქის“ საშუალებით უპასუხა, სარალიძე ამბობს, რომ ადამიანი, რომელმაც მას პოლიტიკურ ინტერესებში დასდო ბრალი, არ ენდობა.

გამოააშკარავეთ ჩემი შვილის ვინაობა. თუ მოკლაღე იყო, ესეც თქვით...

სწორამსს ქუჩაზე მოკლული მოზარდის დათო სარალიძის მამა 51-ე სკოლის ადმინისტრაციას მიმართავს. ზაზა სარალიძე ბოლო დღეების განმავლობაში სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციებს და მოსაზრებებს ესმაურება:

„სოციალურ ქსელში ინფორმაცია ვრცელდება, რომ თითქოს, ჩემი შვილი მოძალადე იყო, ვიღაც-ვიღაცებს თავს საპირფარეოში აყოფინებდა... 51-ე სკოლის ადმინისტრაციას მივმართავ, დაუყოვნებლივ გამოააშკარაოს ჩემი შვილის ვინაობა. თუ მოძალადე იყო, ესეც თქვან. არავინ არაფერი დამალოს. თუ ჩემი შვილი მოძალადე იყო და ამ სკოლაში ძალადობა ხდებოდა, ალბათ, 51-ე სკოლის პასუხისმგებლობა დგება. თუ მოძალადე არ იყო, მაშინ ყველაფერი გამოააშკარაონ“, — განაცხადა სარალიძემ.

ამხელა სკოლაში ვერ მოძებნით ვერც მასწავლებელს და ვერც მოსწავლეს, რომელიც გეტყვით, რომ დათო მას ჩაგრაგდა, ან მისგან ბულინგის მსხვერპლი იყო, — განუცხადა „ჯი-ეიჩენს“ 51-ე სკოლის დირექტორმა მანანა თურქაძემ.



დირექტორი წუხს, რომ მსგავსი ტრაგედიის შემდეგ, ასეთ საკითხზე უნევს კომენტარის გაკეთება. როგორც ის აცხადებს, მოკლული დათო სარალიძე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, თავაზიანი და მეგობრული ბავშვი იყო. ის ვერ იხსენებს ვერცერთ შემთხვევას, როცა მოკლულ მოზარდს ვინმესთან კონფლიქტი ჰქონდა. „დათო იყო ძალიან საყვარელი, კეთილი, თავაზიანი, მეგობრული, პოპულარული, ყველა კეთილი საქმის წამომწყები. იმდენად მხიარული ბავშვი იყო, დერეფანში რეპავდა, ბიჭი პოპულარული იყო. შემოიძლია, გითხრათ, რომ ყველა სპორტული შეჯიბრი, რაც კი სკოლაში ყოფილა, დათოს თაოსნობით ყოფილა. ჩვენ ჩავატარეთ 12 სახეობაში ოლიმპიადა და დათო ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, ბავშვებს კრებდა. ამხელა სკოლაში ვერ მოძებნით ვერც მასწავლებელს და ვერც მოსწავლეს, რომელიც გეტყვით, რომ დათო მას ჩაგრაგდა, ან მისგან ბულინგის მსხვერპლი იყო. უფროსების ამ განცხადებას არ ვიცი, რა შეფასება უნდა მივცე, ძალიან ვწუხვარ, რომ ამაზე განცხადების და კომენტარის გაკეთება მიწევს.“

რამდენჯერაც დაიბარებენ, იმდენჯერ მოვალ...

მირზა სუბელიანმა, რომელიც შსს-ში თითქმის 10საათის განმავლობაში იკითხებოდა, ჟურნალისტებს განუცხადა, გაუთქმელობაზე ხელწერილი მაქვს და დეტალებზე ვერ ვისაუბრებო! „ხელწერილი მაქვს გაუთქმელობაზე, შესაბამისად, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. გამოძიებულ შემთხვევებში, გავეცი შესაბამისი პასუხები. რამდენჯერაც დამიბარებენ, იმდენჯერ მოვალ. იყო დამატებითი შეკითხვები, ამაზეც გავეცი პასუხები“, — განაცხადა მირზა სუბელიანმა.



პაპოკატი ირაკლი ფირცხალავას ამხელს

გუშინ რომაძის საქმეზე ბრალდებული ირაკლი ფირცხალავას ადვოკატმა კობა კობახიძემ საქმიდან თავი აიცილა. როგორც კობახიძემ გუშინ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, მას ფირცხალავამ ჰონორარი არ გადაუხადა.

ბრალდებულმა ირაკლი ფირცხალავამ რამდენიმე დღე ითხოვა, რათა თანხა მოიძიოს და ახალი უფლებადამცველი აიყვანოს. პროკურორი გიორგი ოსაძე კი თვლის, რომ ადვოკატის აცილება პროცესის ხელშეწყობად გაჭიანურებას ემსახურება.

„ფაქტობრივად, ბოლო მონვე გვეყავდა, მაგრამ მოულოდნელად ადვოკატმა თვითააცილება მოითხოვა. განაცხადა, რომ მიზეზი ჰონორარი იყო. ვიმედოვნებთ, პროცესი არ გაჭიანურდება. ბრალდებულმა თქვა, რომ ორშაბათს ახალ ადვოკატთან ექნება კომუნიკაცია, რომელიც შეისწავლის საქმის მასალებს“, — დასძინა ოსაძე.



სხდომა 15 ივნისს 11:00 საათისთვის გადაიდო. ცნობისთვის, ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე 6 პირი: გურამ დონაძე, ზაზა ბაქრაძე, ზურა მიქაძე, ლევან გვაზავა, ირაკლი ფირცხალავა და დავით იაშვილი არიან ბრალდებული. ერთ-ერთი ბრალდებული, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა ბაქრაძე, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 28 თებერვალს დააკავეს, 30 მარტს, 5 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

რუსთაველი ტექნიკის მალაზია გაშურდას

რუსთაველი „ზუმერის“ მალაზია გაქურდეს. მალაზიიდან წაღებული „აიფონისა“ და „სამსუნგის“ ძვირადღირებული ტელეფონები.

დამნაშავეებმა მალაზიაში შელწევა მინის ჩამტვრევის შემდეგ მოახერხეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით, რაც ქურდობას გულისხმობს.



ლანქსში ფაროსანას სანინააღმდეგო სხნარით ორი აღამიანი მოინაგლა

ისინი საავადმყოფოში იმყოფებიან და როგორც ექიმები აცხადებენ, მონამულელების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ერთ-ერთი მონამულე აცხადებს, რომ ინტოქსიკაცია მას შემდეგ მიიღო, რაც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა სპეცტექნიკის გამოყენებით მისი სახლის მიმდებარე ტერიტორია შეწამლეს. მისი თქმით, შეწამვლის შესახებ არ იყო გაფრთხილებული. მეორე კი ამბობს, რომ ტერიტორია ფაროსანას სანინააღმდეგო სხნარით თავად შეწამლა და ამის შემდეგ მიიღო ინტოქსიკაცია.

ხელვაჩაურში ჯოგარდობის დროს ოთხი ტურიტი დაიღუპა

ხელვაჩაურის რაიონში მდინარე აჭარისწყალზე ჯოგარდობის დროს ოთხი ტურიტი დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, ნავი ამობრუნდა, სამწუხაროდ, ოთხი ადამიანი მდინარეში დაიხრჩო.



მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

სურსათის პროვულა სააგენტომ 21 600 არაპროდუქტიული კვერცხი დაღუპა

სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში კვერცხის საბითუმო-სარეალიზაციო ობიექტებს ამოწმებს.

სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა ეტიკეტირების წესის დარღვევის ფაქტი გამოავლინეს შპს „კრეატივი“-ში, სადაც 21 600 არაეტიკეტირებული კვერცხი აღმოჩნდა. საექვო წარმომადგომლის კვერცხი დაიღუპა და ბიზნესოპერატორს მისი განადგურება დაევალა, რაზეც შედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს.



2013 წლის მაისში „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ №90 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა კვერცხის სავალდებულო ეტიკეტირების წესი, რაც ბიზნესოპერატორს ავალდებულებს, სარეალიზაციოდ განთავსებულ კვერცხზე მიუთითოს კვერცხის წარმოშობის ქვეყანა და წარმოების თარიღი.

ჩაქვის გვირაბთან ტრაილერი უარდობიდან გაღაპრდა

შამთხვევის შედეგად ტრაილერის მძღოლი დაშავდა. დაშავებული მძღოლი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ექიმების განცხადებით, მას მძიმე დაზიანებები არ აღენიშნება.



რაგბი ჩვენი თაგაშია!

პრის პირველი გამარჯვება!

საძარტველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფეხბურთის ეტაპის მესამე მატჩში ირლანდიის ანაგის გუნდს 24:20 დაამარცხა. მიუხედავად წარმატებისა, ქართველებს 5 ქულა დაუგროვდათ და საუკეთესო ორ მეტყველებელს შორის ვერ მოხვდნენ. შედეგად, პატარა „ბორჯღალოსნებს“ მეცხრე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა და იაპონიას შესვლად. ახალგაზრდული ნაკრებისთვის აღნიშნული გამარჯვება ისტორიული იყო, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის ფეხბურთის ეტაპზე გუნდმა პირველად მოიგო. ანგარში მე-11 წუთზე არსენ მარაძემ ლელოთი გახსნა და გელა აფრასიძემ გარდასახვა ზუსტად შესასრულა. სამ წუთში კონორ დინი

ჯარიმით სხვაობა შეამცირა, თუმცა, ასევე სამ წუთში აფრასიძემ შედეგულიანი უპირატესობა ჯარიმით აღადგინა.

მე-20 წუთზე სანდრო მამამთავრიშვილი მალალი ბოჭვის გამო 10 წუთით გააძევეს, ირლანდიელები შეტევაში გაერთნენ და დაისაჯნენ: 22-ე წუთზე სანდრო სვანიძემ ბურთი ჩაჭრა, ირლანდიელები მას ვერ დაენციენ და ლელო დადო, აფრასიძემ კი გარდასახა. კონორ დინმა რიცხობრივი უპირატესობის შემდეგ ლელო დადო, გარდასახვა ვერ შესასრულა და ტაიმი საქართველომ 17:8 მოიგო.

მეორე ნახევარში თედო აბუანდაძემ ლელო გაიტანა და აფრასიძემ გარდასახვა ზუსტად შესასრულა, ირლანდიელებმა კი მხოლოდ ორი ლელო დადეს და საბოლოოდ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს.

კობა კობანიძე



კალათბურთი

ბოლო აკორდის წინ

საძარტველოს ეროვნული ნაკრები 11 ივნისს გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშს იწყებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად.

ილიას ზუროსის გუნდმა საკვალიფიკაციო ჯგუფში დაგეგმილი 6 მატჩიდან 4 უკვე გამართა, ხოლო დასკვნით 2 შეხვედრას 29 ივნისს სერბეთთან, 2 ივლისს კი ავსტრიასთან წინ ჩაატარებს.

Basketball match schedule for 2019. Includes dates like 29 ივნისი - 19:00 and 2 ივლისი - 19:00, and team names like საქართველო VS სერბეთი.

მათზე დასასწრები ბილეთების ონლაინ-გაყიდვა უკვე დაიწყო. მსურველებს მათი შეტყნა TKT.GE-ზე შეუძლიათ.

ბილეთების ფასები 5, 10, 15 და 25 ლარია, თუმცა, ორივე მატჩზე დასასწრები ბილეთის ერთდროულად შეტყნის შემთხვევაში გულშემატკივრებს შეეძლებათ ისარგებლონ ფასდაკლებით - tkt.ge/basketball.

ბაჟან დოლიძე

MVP

მოთაგაშეება პარდენი გამოარჩიის

NBA-ს 2017/18 წლების რეგულარული სეზონის საუკეთესო მოთაგაშედ კალათბურთელმა ჯეიმს პარდენმა დაასახელეს. აღნიშნულ ინფორმაციას „ჰიუსტონის“ ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

იგი რეგულარულ სეზონში საშუალოდ ერთ შეხვედრაში 30.4 ქულას, 8.8 პასს, 5.5 მოხსნას, 1.7 ჩაჭრას და 0.6 დაფარებას აგროვებდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პარდენი 2015 წელსაც გახდა კოლეგათა რჩეული, მაგრამ მაშინ MVP-ის ტიტული სტეფ კარიმ მოიპოვა.

ვიტალი ჯაფარიძე



ინტერნეტიდან



არა არს დაფარული...

ასაკის წინააღმდეგ მუსლჩაუხრელად მებრძოლი ცნობილი არგენტინელი მოდელი და მსახიობი საბრინა როსასი მრავალი წლის ჩუმჩუმელობისა და მალვის შემდეგ, როგორც იქნა, გამოტყდა, რომ პლასტიკური ქირურგიის დიდი მოტრფიალეა და მის სხეულზე რაც ოპერაცია გაკეთებულა - ვერა კაცი ვერ მოითვლის.

ადრე ბულვარული მედია მუდმივად ეჭვობდა მისი სილამაზის ხელოვნურობას, თუმცა, ეს ქალი ჯიუტად „იჯდა ვირზე“ და ცოცხალი თავით არ აღიარებდა ამას. ერთხელ თურმე ჟურნალისტსაც კი ეჩხუბა, რომელმაც გარისკა და პლასტიკურ ქირურგიაზე კითხვა დაუსვა.

რამდენიმე წლის წინათ „ყვითელმა“ მოკალმეებმა საფუძველი დაუდეს მითქმა-მოთქმას, რომლის მიხედვითაც თითქოს მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ საბრინა როსასს საიდუმლოდ ხვდებოდა. ეს ამბავი ორივემ უარყო, თუმცა, ჭირი და ჭორი მაინც ჭორადვე დარჩა...

საფეხბურთო მოზაიკა



საძარტველოს ნაკრების თავდამსხმელი ნიკა კაჭარავა კვიპროსში დაბრუნდა და ამიერიდან „ანორთოსის“ ღირსებას დაიცავს. როგორც ფაშაგუსტელთა ვებ-გვერდი იტყობინება, მხარეებს შორის ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა, რომელიც ძალაში 2 ივლისიდან შევა.

კაჭარავასთვის კვიპროსი უცხო ქვეყანა არაა. ნიკა 2016-2017 წლების სეზონში ეთნიკისოს „ახნასში“ გამოდიოდა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა - 27 თამაში, 16 გოლი.

24 წლის ქართველმა ფორვარდმა გასული სეზონი პოლონეთის ექსტრაკლასაში, კერძოდ, „კორონას“ რიგებში გაატარა, რომელსაც ყველა ტურნირის ჩათვლით 29 შეხვედრით, 9 გოლითა და 6 შედეგიანი პასით შეენია.


რაც შეეხება „ანორთოსის“, გასული სეზონი 69 ქულით მესამე ადგილზე დაასრულა და, შესაბამისად, ევროპა ლიგაზე იასპარეზებს.

FIFA-მ რუსეთში გასამართი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფარგლებში გაყიდული ბილეთების რაოდენობა გაასაჯაროვა. როგორც ირკვევა, 7 ივნისის მდგომარეობით, სულ შეიძინა 2 მლნ 403 ათას 116 ბილეთი, რომლის 54% უცხოელმა გულშემატკივრებმა შეიძინეს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ მათგან ყველაზე დიდი აქტიურობა ამერიკელმა ქომაგებმა გამოიჩინეს.



უცხოეთში რეალიზებული საფეხბურთო ბილეთებით მეორე ადგილზეა ბრაზილია, ხოლო მესამეზე - კოლუმბია.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს რიგით 21-ე საფეხბურთო ჩემპიონატი სტარტს 14 ივნისს მოსკოვში რუსეთი-საუდის არაბეთის მატჩით აიღებს და 15 ივლისს, ასევე მოსკოვის „ლუჟნიკებზე“ დანიშნული ფინალით დასრულდება. მუნდიალის შეხვედრები რუსეთის 11 ქალაქის 12 სტადიონზე ჩატარდება.



ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემტევი დუგლას კოშტა „იუვენტუსის“ სრულფასოვანი წევრი გახდა. როგორც იტალიური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ტურინელებმა ფეხბურთელის იჯარის დასრულების შემდეგ გამოსყიდვის უფლება გამოიყენეს და მიუნხენის „ბაიერს“ კოშტას სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაუხადეს.

დუგლასმა „ბეზერ ქალბატონთან“ კონტრაქტი 2022 წლის ივნისამდე გააფორმა. გასულ სეზონში იჯარის წესით მოთამაშე ბრაზილიელმა ყველა ტურნირზე 47 შეხვედრა ჩაატარა, ექვსი ბურთი გაიტანა და 14 საგოლე გადაცემა შესასრულა. აქენიურ გუნდში თამაშის პერიოდში კოშტას სატრანსფერო ღირებულება 30-დან 55 მილიონ ევრომდე გაიზარდა.

ევროპული ფეხბურთის მმართველმა უწყებამ, უფამ საინტერესო, თანაც უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და სტამბოლის „ბეშიქთაში“ ფინანსურად დააჯარიმა, საინტერესო კი ამ ყველაფერში სასჯელის მიზეზია.

საქმე ისაა, რომ 2017-2018 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, როდესაც „ბეშიქთაში“ „ბაიერს“ მასპინძლობდა, მოედანზე კატა შევარდა. მსაჯმა კი თამაში, სულ რაღაც 1 წუთით შეაჩერა.

უფაში მარტში მომხდარ ფაქტზე გუშინ იმსჯელეს და თურქული გუნდი 34 ათასი ევროს ოდენობით დააჯარიმეს.

ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო უცნაურად ჩანს იმის ფონზე, რომ უფამ წელს სხვა, გაცილებით მძიმე დარღვევებზე ნაკლები სიმკაცრე გამოიჩინა. მაგალითად, „ლივერპული“ მხოლოდ 29 ათასი ევროთი დააჯარიმა „მანჩესტერ სიტისთან“ მატჩის წინ გულშემატკივრების მხრიდან პეტარდების სროლის გამო; „ატლეტიკოს“ ევროპა ლიგაზე, ასევე ქომაგთა უსაქციელობის გამო მხოლოდ 18 ათასევროიანი ჯარიმა დააკისრა, ხოლო რუსეთის ნაკრებს საფრანგეთის გუნდის ფეხბურთელთა მიმართ რასისტული შეტყნის გამო 25 ათასი ევროს ჯარიმა აკმარა.



ლეგენდარული იტალიელი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი უფამ დასაჯა. ევროპული ფეხბურთის მმართველი უწყების სადისციპლინო კომიტეტმა 40 წლის კიპერს ინგლისელი მსაჯის მაიკლ ოლივერის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ აბატი და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია „გამოუწერა“.

შედეგად, ბუფონი ჩემპიონთა ლიგის მომდევნო სამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ჯიჯიმ „იუვენტუსი“ უკვე დატოვა, თუმცა, კარიერა არ დაუსრულებია. გავლენიანი გამოცემების ცნობით, იგი ფრანგულ „პსჟ“-სთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.



შეგახსენებთ, რომ „რეალისა“ და „იუვენტუსის“ მატჩის მიწურულს ტურინელთა კარში დანიშნული საეჭვო პენალტი ბუფონმა ემოციურად გააპროტესტა და მინდვრიდან გააძევეს.

საფინალო სასტვენის შემდეგ კი იტალიელმა შაოსნის მისამართით არაერთი ცინიკური განცხადება გააკეთა - მსაჯობის ნაცვლად ტრიბუნაზე ჯდომა, ჩიფსების ტყამა და კოკა-კოლას სმა ურჩია.

გიორგი შოთაძე

სანთელი

კასი, როგორც დააკლდა სამეგობროს

10 მაისს 69 წელი შეუსრულდებოდა აფხაზეთის ღირსეულ წარმომადგენელს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ჩვენი კუთხის ერთ-ერთ გამორჩეულ, კოლორიტულ პიროვნებას, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, მეგობრობისა და კომუნიკაბელურობის განსაკუთრებული ნიჭით დღეთსაგან მირონცხებულს, თხემით ტერფამდე სოხუმელს მუხრან ანჯაფარიძეს.



ერთი წლის წინ დამთავრდა ცხოვრება ერთი კარგი ქართველისა... დააკლდა იგი თავის საყვარელ საქმეს, დაგვკლდა ჩვენ - კოლეგებსა და მეგობრებს, დააკლდა, რაღა თქმა უნდა, ოჯახს, ცოლ-შვილს, შვილიშვილებს... დააკლდა აფხაზეთს... საქართველოს....

ჩვენო მურად, ძალიან გვაკლია შენი ღიმილი და სიტბო, ისე გვენატრები, თითქოს დროის დინება გაჩერდა უშენოდ... ჩვენი სამეგობროს ყველა შესვენდა და თავყრილობა, შენი გახსენებით იწყება და მთავრდება.

უშენობამ რეალურად გვაგარძნობინა ჭეშმარიტი მეგობრის დაკარგვით გამოწვეული, მოუშუშებელი ტრილობის განცდა. დაბადების სამოცდამეცხრე წლისთავს გილოცავთ ძმაო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

ნუგზარ კახიშვილი, ოთარ ჭითანაძე, კონსტანტინე შინაძე, გია გვაზაძე, ვასილ დავითაძე, გურამ ოდიშარია, მამუკა ნაჭყალია, გურამ კაკულია, თემურ დანელია, კახა არაძე, გოგი ბარაძე, ანზორ ღურგულიანი, ნიკოლოზ გოგიტიანი, რუჰან ბახარია, მირაზ კილაძე, გია ბარაძე, გია კახეთელიანი, გია შიშაძე, ნუგზარ ჭიჭაძე, სოსო ჯღარკაძე, თემურ ჯიჯიაშვილი, თემურ ჯანაშია, სოსო ხარაბაძე, შოთა გვაზაძე

სულიერება

ყოველთა ღირსთა და ღვთაებრივთა მამათა ათონის წმინდა მთაზე, სამართაველოში, რუსეთის მინაზე განბრწყინებულთა ხსენება სულთმოფენობიდან II კვირიაკა



10 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საქართველოში გაბრწყინებულ ღირს და ღმერთშემოსილ მამებს - შიო ახალს, დავით მწირს, გაბრიელს, პავლეს და გაბრიელს გარეჯელებს ლეკთაგან მოწვევით-ლებს, მონამე იუსტინეს, ხარიტონს, ხარიტას, ევლემოსს, ერასმოს, პეტროს, ვალერიანეს. ასევე იხსენიებს არაქართველთ - იოანე კრონშტადტელს, იუსტინე ჩელისკელს, სერბელის და სხვა წმინდანებს, რომელთა ცხოვრება უცნობია და ვისი ხსენების დღეც არ აღინიშნება.

აღსანიშნავია, რომ ძალზე მცირეა იმ წმინდანთა რიცხვი, ვის შესახებაც შექმნილია საეკლესიო საგალობლები და ვიცნობთ.

სი ხსენებაც ეკლესიაში საყოველთაოდ აღინიშნება. დანარჩენ წმინდანთა აურაცხელი კრებული მხოლოდ გარკვეულ ადგილას არის ცნობილი და პატივი მიეცება, სხვაგან კი მათი ცხოვრების შესახებ მონათხრობით და თქვენის საშუალებით იცნობენ, სადაც მათი ხსენების დღეა მითითებული.

რაც შეეხება ათონის წმინდა მთაზე გაბრწყინებულებს, ეკლესია 10 ივნისს იხსენიებს ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწე - აკაკი მონაზონს, ათანასე, ნიკოლოზ, ანტონ ანდრიაპოლელს, სტეფანე პირველმონაშეს, გიორგი ბრანკოვანს, არჩილს (იმერეთის მეფე), წმინდა იოანე უგლეშს, ილარიონს (იმერეთიდან).

* * *

ჩვენი ვალაია, ვიცნობდეთ ქართველ, ათონელ და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გაბრწყინებულთა და შესაბამის პატივსაც მივაგებდეთ მათ.

გიული ლიპარტიანი

ლიტერატურული შურნალი „ოლე“ №2

ბამოვიდ ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2018 წლის მეორე ნომერი. ჟურნალი იხსნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანი-კაპანაძის სიტყვით, რომელიც წარმოთქვა თელავის ისტორიული მუზეუმის გახსნისას. რუბრიკით „იუბილე“ საქართველოს მწერალთა კავშირი 50 წლის იუბილეს ულოცავს თვალსაჩინო მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მამა ილია (ნუგზარ) ჩიკვაძეს. სულხან-საბა ორბელიანის 360 წლისთავს ეძღვნება რეზო ადამიას ესეე „სულხან-საბა ორბელიანი და ბედი ქართლისა“. „მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკაში დაბეჭდილია ზვიად ნეფარიძის პიესა „თეთრი ოთახი“; ფიქრია ყუშიტაშვილის, მანანა ჩიტიშვილის, თინათინ მრულაშვილის, თამარ ნასრაშვილის, მარი თაბაგარის, ზოია ვაშაკიძის, ზაზა სანიშვილის ლექსები; ამავე რუბრიკით ქვეყნდება ნათია ბოტკოველის მოთხრობა „რა იქნებოდა თუ...“, მარიამ ძამუკაშვილის მოთხრობა „საიმედო თანამგზავრი“ და ნინო ლაჩაშვილის მინიატიურები. „თარგმანის“ რუბრიკაში სრულდება ჯულია დონალდსონის ვრცელი მოთხრობა „პრინცესა მირონ-ბელი და მფრინავი ცხენი“ - მთარგმნელი ნინო ძამუკაშვილი. ასევე ქვეყნდება საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელი პოეტისა და მთარგმნელის (თარგმნილი აქვს ილია ჭავჭავაძის, რევაზ ინანიშვილის, ბესიკ ხარანაულის, გოდერძი

წიხელისა და სხვათა ნაწარმოებები) ალაპერდი ტაქალის ლექსები - მთარგმნელი ბალანთარ ბაბუღიანი. რუბრიკაში „წერილები“ იბეჭდება ზაალ ბოტკოველის „ტკივილები ვერნისაში“, სადაც საუბარია შესანიშნავ პოეტზე - ცირა შალაშვილზე. ამირან ბასილაშვილი კი მოგვითხრობს გენერალ კონსტანტინე აფხაზის სასახლის საგალობლო მდგომარეობაზე. თელავის მუსიკალური სასწავლებლის 85 წლისთავთან დაკავშირებით გაცნობით ნელი ზუროშვილის წერილს „მუსიკალური ხელოვნების კერა“. რუბრიკაში „ლიტერატურული ღონისძიებები“ ქვეყნდება მასალები ზინა სოლომონიშვილის შემოქმედებით საღამოზე, მარიამ კოზმანიშვილის საიუბილეო საღამოსა და თელავში გამართულ თბილისის IV საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაზე. რუბრიკაში „კახეთის ჰანგები - 45“ გაეცნობით თელავის საზოგადოებრივი სასწავლებლის დარბაზში გამართული თელავის ქალთა კაპელის „კახეთის ჰანგების“ დაარსებიდან 45 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პუბლიკაციას.



ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გაორმეულია ჩინებული თელაველი მხატვრის ლია ბადურაშვილის ნამუშევრებით.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნარეკლიშვილი) მხარდაჭერით.

დასამალი არ არის, რომ შვილების წინაშე ბოდიშის მოხდა მშობლებს, შემთხვევითა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ვერც კი წარმოუდგენიათ. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა, თავის სუსტად წარმოჩენის შიშია. სინამდვილეში კი, სულით ძლიერ და საკუთარ ქცევებსა და სიტყვებზე პასუხისმგებელ ადამიანებს, არც საკუთარი შეცდომების აღიარება და არც პატიების თხოვნა უჭირთ, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე უახლოეს ადამიანებს ეხებათ.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მშობლისა და შვილის კონფლიქტში, მართალი უფროსი არ არის. განა ბევრ ჩვენგანს საკუთარი შვილი, რომ იტყვიან, „ცხელ გულზე“ არ დაუსჯია? ბავშვებს კი მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობა ყოველთვის ამასს იწვევდა და ეს მიმეგანცდა, შესაძლოა, ცხოვრების მანძილზეც გააჟყვეთ.

როცა მშობელს თავისი შეცდომების აღიარება არ სურს, შვილი ამას სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს უსამართლობად აღიქვამს: თუკი ქვეყანაზე ყველაზე ახლობელ ადამიანს შეუძლია ასეთი „შორეული“ გახდეს, მაშასადამე ეს დასაშვებია და მეც შემიძლია ასე მოქცევა? ესე იგი დედის (ან მამის) იმედი მუდამ არ უნდა მქონდეს? - ასეთია, დაახლოებით, შვილის განცდის ქარგა.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ მშობელი ხართ, რომლის გული შვილისთვის მუდამ გახსნილია, ამიტომაც ნურც შეცდომის აღიარებისა შეგეშინდებათ და ნურც „ზედმეტი“ სიყვარულის გამოხატვის.

უპრიბაბა თუ ბოდიშის მოხდის ფილოსოფია

გახსოვდეთ, რომ ხშირად შესარიგებლად სიტყვებიც კი არ არის საჭირო, უბრალოდ პატარის ჩახუტება ანდა ალერსიანად შეხედვაც კმარა.

პატარებს უფროსებიც უნდა ელაპარაკოთ! აუხსნათ მათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საკუთარი შეცდომის აღი-

ამასთან, ეცადეთ, რომ შერიგება პატარა დღესასწაულად გადაქცეიოთ - მის მოქრთმავს ნუ ეცდებით, საჩუქარი მთელი გულით გაუკეთეთ.

განა რა სჭირდება ბავშვს, ბედნიერი რომ იყოს და თქვენს სიყვარულს ყოველ წუთს გრძნობდეს? არა საჩუქრები, არამედ თქვენი ყურადღება! ამიტომაც, როგორც გნებავთ, დაკავებულნი იყოთ, ყოველდღე თუნდაც ნახევარი საათი გამონახეთ მარტო მასთან საურთიერთობოდ! ამიტომაც, შინ რომ ბრუნდებით, ცოცხალი მანც გამორთეთ ტელეფონი; დაიცავით საღამოს რიტუალები - ზღაპრები უკითხეთ, ან, უბრალოდ, ძილის წინ აკოცეთ; ხშირად მოეხვედრება და ჩაიხუტეთ; როცა რამდენიმე შვილი გყავთ, თავის დრო თითოეულს ცალკე დაუთმეთ. ბავშვთან ურთიერთობისას მას თვალში უცქირეთ ისე, რომ ის ქვეყნიდან ზევით კი არა, პირდაპირ გიყურებდეთ. გახსოვდეთ, რომ მხედველობით კონტაქტი - ესაა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ჩვევა; გაითვალისწინეთ ყველა მისი თხოვნა დახმარების შესახებ, რაც მას დაცულობის გრძნობას გაუმყარებს; დაბოლოს - ეთამაშეთ! უბრალოდ, ეთამაშეთ თქვენს შვილს, რადგან მისთვის ამაზე კარგი, ჯერჯერობით, ქვეყნად არაფერია!



არება, რადგან ეს ყველას ერთიანად დანაშაულის მძიმე ტვირთისგან ათავისუფლებს.

წყენებს ნუ დააგროვებთ და ბოდიშის მოხდასაც ნუ დააყოვნებთ. რაც უფრო მალე შერიგდებით, მით უმეტეს, თუკი შვილი მოზარდია, მით უკეთესი.

ყოველთვის მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი ნუხილი, ვინაიდან ამას მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ გულახდილი ლაპარაკი თქვენ ერთმანეთთან უფრო დაგახლოვებს.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ სულხან-საბას ქ. №3. 29 3-13-34; 599 797679

ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნიალის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარეთულებით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძემილეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 27 540 მ ³).
7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძემილეთის მიმდებარე ტერიტორია
8 აუქციონის საწყისი ფასი	22 386 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2238,6 ლარი
10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 439 ლარი
11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 9 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14 სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარეთულებით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა</p>

ობიექტი № 3	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (წვეთების, წვეთობპროდუქტების, წვეთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსპორტირების პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ</p>

		<p>პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწერული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამწენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);</p> <p>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. სვენეთის მიმდებარე ტერიტორია, „სვენეთის“ კონგლომერატების (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 12 900 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. სვენეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 141 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	314.1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 50% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 771 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 9 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 4		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპატის გასწორებაზე მდინარის მიმართულად.</p> <p>გ) გეოდეზიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მიერ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმღავე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს „მტკვრის კასკადის 3“ ჰესის არეალში, (პროექტის რეალიზაციისთვის) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების პროცესში არ დააზიანოს საბაღე სახელობითი განაშენიანებული ტერიტორია და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო</p>

		<p>განსაზღვრული სალიცენზიო პირობები.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. სარალის მიმდებარე ტერიტორია მდ. დეგედას ქვიშა-ხრემის საბაღო, (კატეგორია A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 49 140 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. სარალის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	35 073 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3507.3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 707 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 9 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 5		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპატის გასწორებაზე მდინარის მიმართულად.</p> <p>გ) გეოდეზიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მიერ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმღავე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს „მტკვრის კასკადის 3“ ჰესის არეალში, (პროექტის რეალიზაციისთვის) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების პროცესში არ დააზიანოს საბაღე სახელობითი განაშენიანებული ტერიტორია და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო</p>

	წილისულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წილისულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
14	სხვა მონაცემები
ობიექტი № 6	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება
1	საიდენტიფიკაციო ნომერი
2	მისამართი/ტელეფონი
3	ელ-ფოსტა
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის
6	სარგებლობის

	ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	„სურამის“ კვარცინდერის მპარაიანი ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წილისულის ჯამური მოცულობა - 254 100 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	79 525 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	7 952,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 153 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 9 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 9 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წილის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წილისულის მოპოვების ლიცენზია
